ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 19 ნოემბერი, 2015 №272 (6892) ფასი: 50 თეთრი

## რუსული თვითმფრინავი ალუმინის ქილით ააფეთქეს

ლავროვი: „ეს რუსეთზე თავდასხმის ტოლფასია“



გვ.7

# ვახტანგ გომელაური: „რამდენიმე ათეული ადამიანი ქვეყანაში არ შემოვუშვით“


გვ.2

„გურჯისტანის ვილაიეთი არ შექმნილა, ეს არის ტყუილი ინფორმაცია“

## გვარამია: „გვისმენენ მე, ბაქრაძეს, ალასანიას და ბოკერიას“

მეგობრებო, უტყუარად შემიძლია გითხრათ, რომ რამდენიმე დღის წინ თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა სუსის და პროკურატურის შუამდგომლობა და გასცა სანქცია ჩემს მოსმენასა და თვალთვალზე ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით


გვ.7



გვ.4

## ნიკა მელია: „ნარმანიას ადგილზე გადავდგებოდი“

„შემოვლითი რკინიგზა თბილისს საცობებისგან დაიცავს“


გვ.3

## „ქართული ოცნება“ მზადაა, მარგველაშვილთან დაპირისპირებას ქვეყანა გადააყოლოს“

## პრემიების შეზღუდვით 10 მილიონი დაიზოგება

რატომ ჩააგდო პარლამენტმა ზაქარია ქუცნაშვილის კანონპროექტი?




გვ.3

## ღარიბაშვილი: „უვიზო მიმოსვლა იქნება ლოგიკური ნაბიჯი საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისკენ“



გვ.2

საქართველოს პრემიერი წერილს აქვეყნებს

ISSN 1987-9385


გვ.5

## ნარმანიამ კალაძის ცოლისძმის ადგილზე კალაძის ცოლისძმის მეგობარი დანიშნა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ღარიბაშვილი: „უვიზო მიმოსვლა იქნება ლოგიკური ნაბიჯი საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისკენ“

**– უვიზო მიმოსვლა იქნება ლოგიკური ნაბიჯი საქართველოს გზაზე ევროკავშირში ინტეგრაციისკენ, – ამბობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი წერილში, რომელიც www.euractiv.com-მა გამოაქვეყნა.**




მთავრობის მეთაურის შეფასებით, საქართველო არის აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის ე.წ. რბილი ძალის წარმატების მაგალითი.

პრემიერი მიიჩნევს, რომ ურთიერთობების განმტკიცების საუკეთესო გზა ადამიანებს შორის კონტაქტებია და ეს წესი ვრცელდება ურთიერთობების ნებისმიერ დონეზე, იქნება ეს პოლიტიკური, საქმიანი თუ ტურიზმის სფერო.

– პირადად მე ეს გამოვცადე ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების საბჭოს სხდომაზე, რომელიც ამ კვირაში ბრიუსელში გაიმართა. ამ სხდომაზე დადასტურდა ჩვენი წინსვლა ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე. დისკუსიებისას აღიარებულ იქნა ბოლო წლებში ჩვენი მთავრობის ყოვლისმომცველი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების ეფექტიანობა, რომელთა შედეგადაც საქართველო უახლოვდება ევროპულ ნორმებს, – ნათქვამია პრემიერის წერილში.

ეს პროგრესი აისახა ჩვენი რეიტინგების სტაბილურ ზრდაში დემოკრატიული სტანდარტების ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა არჩევნები, სიტყვისა და მედიის თავისუფლება, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა დაცვა, გამჭვირვალობა და კორუფციის აღმოფხვრა.

– 2012 წელს ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ ჩვენმა მთავრობამ პრიორიტეტებად გამოაცხადა მზარდი გამჭვირვალობა, სანიმუშო მმართველობა, პოლიტიკური ანგარიშვალდებულება და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა, როგორც დემოკრატიული განვითარებისა და ევროინტეგრაციისადმი ჩვენი ერთგულების გამოხატულება.

გარდა ამისა, ჩვენ მივიღეთ ზომები მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობისა და პრესის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, – ამბობს პრემიერი ღარიბაშვილი.

მისი თქმით, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს უკვე მოჰყვა პოზიტიური შედეგები, რაც აისახება ჩვენი ორმხრივი ეკონომიკური კავშირების გაღრმავებაში.

– საქართველო, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გზაჯვარედინზე თავისი უნიკალური მდებარეობის წყალობით, ევროპისთვის არის აზიის კარიბჭე. ამის უტყუარი დემონსტრირება იყო ახლახან თბილისში ჩატარებული აბრეშუმის გზის პირველი ფორუმი-პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც პოლიტიკისა და ბიზნესის სფეროების საერთაშორისო ლიდერებმა განიხილეს თანამშრომლობის პერსპექტივები, – აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი.

მისი თქმით, საქართველო უპირობოდ ემსახურება ამბიციური რეფორმების დღის წესრიგის განხორციელების საქმეს. ამავე დროს, ჩვენ პრაქტიკულად ვუწყობთ ხელს იმ ღირებულებების განმტკიცებას, რომლებიც გვაერთიანებს ჩვენს პარტნიორებთან ევროკავშირიდან.

– ამის ნათელი მაგალითია პირველი საერთაშორისო კონფერენცია გენდერული თანასწორობის საკითხებზე, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა გასულ კვირას. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის სამსახურსა და გაეროსთან ერთად ორგანიზებულ ამ კონფერენციაზე გამოიკვეთა ჩვენი ურყევი გადაწყვეტილება რეფორმების გატარებასთან დაკავშირებით, რომლებიც მიზნად ისახავს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას საყოველთაო თანასწორობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძველზე, – მიაჩნია პრემიერს.

ის ამბობს, რომ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის გზა შეუქცევადია.

– საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტი მხარს უჭერს ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავებას. ევროკავშირთან დაახლოების სარგებელი საყოველთაოდ არის აღიარებული, – აღნიშნულია წერილში.

პრემიერი ამბობს, რომ საქართველო არის აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის ე.წ. რბილი ძალის წარმატების მაგალითი. მიუხედავად ამისა, ქვეყანამ კიდევ უფრო მეტი უნდა გააკეთოს, რათა უზრუნველყოს რეგიონის სტაბილურობა და ადამიანის უფლებათა დაცვა.

– უვიზო მიმოსვლა იქნება ლოგიკური ნაბიჯი საქართველოს გზაზე ევროკავშირში ინტეგრაციისკენ და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების განხორციელებაში. საქართველოს მოქალაქეებისათვის ევროპაში უვიზო მიმოსვლის გარეშე ჩვენ ვერ მივაღწევთ წინსვლას ადამიანებს შორის კონტაქტების გაღრმავებაში, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩვენს ქვეყანასა და რეგიონში ევროკავშირის ღირებულებების განმტკიცების კუთხით, – აცხადებს საქართველოს მთავრობის მეთაური.

ის თვლის, რომ ქართველმა ხალხმა უნდა დაინახოს მიმდინარე რეფორმების კონკრეტული სარგებელი.

– არსებითად მნიშვნელოვანია, ცხადვყოთ, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია მიღწევების შესაბამისად მიმდინარეობს. საქართველო ძალღონეს არ იშურებს, რათა უპასუხოს ვიზების ლიბერალიზაციის მოთხოვნებს, როგორც ეს გასულ კვირას აღნიშნეს ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ფედერიკა მოგერინიმ და ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტმა, – აღნიშნავს პრემიერი.

ფედერიკა მოგერინიმ აღნიშნა, რომ საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაციის მოთხოვნების შესრულების გზაზე. მან გამოთქვა იმედი, რომ ევროკავშირი მალე დააწესებს უვიზო მიმოსვლას საქართველოს მოქალაქეთათვის.

გარდა ამისა, ასოცირების კომიტეტმა გააკეთა განცხადება, რომელშიც აღიარებულია „საქართველოს სწრაფი პროგრესი ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში“.

კომიტეტმა ასევე გამოთქვა იმედი, რომ ევროსაბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას „საქართველოს მოქალაქეთათვის უვიზო მიმოსვლის დაწესებასთან დაკავშირებით“.

– შესაბამისად, გამოვთქვამ იმედს, რომ კომისიის მიერ დეკემბერში გამოქვეყნებულ ანგარიშში პროგრესის შესახებ შევა პოზიტიური სიგნალი ვიზების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, რასაც მოჰყვება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და ევროპარლამენტარების მტკიცე მხარდაჭერა. ჩვენ უნდა გავაღვივოთ ადამიანებს შორის კონტაქტები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია ქართველებისა და ევროპელების ურთიერთობების განმტკიცების საქმეში, – დასძენს პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი.

# გომელაური: „რამდენიმე ათეული ადამიანი ქვეყანაში არ შემოვუშვით“

## „გურჯისტანის ვილაიეთი არ შექმნილა, ეს არის ტყუილი ინფორმაცია“



მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ უსაფრთხოებისა და კრიზისების საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა კომენტარი გააკეთა.

– საბჭოზე მოხდა განხილვა, თუ რა ღონისძიებები იქნა მიღებული პარიზში მომხდარი ტერაქტების შემდეგ.

იმ ღამესვე მოხდა უსაფრთხოების სამსახურში შეკრება ამა თუ იმ დეპარტამენტების ხელმძღვანელების, ასევე კონტრტერორისტული დეპარტამენტის, ყველა დეპარტამენტის ხელმძღვანელი შეიკრიბა.

მივიღეთ გადაწყვეტილებები. დილიდან უკვე გამკაცრდა საზღვარზე შემოსვლა სხვადასხვა ქვეყნიდან, უფრო აზიური და აფრიკული ქვეყნებიდან, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მისი თქმით, სუსი მაქსიმალურად ცდილობს, რომ ტრანზიტად არავინ გამოიყენოს საქართველო, არ მოხვდნენ ჩვენი ქვეყნის გავლით სირიაში და არ მიიღონ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა.

– რამდენიმე ათეული ადამიანი ქვეყანაში არ შემოვუშვით და დავბლოკეთ. ასევე გამკაცრებულია კონტროლი სხვადასხვა მიმართულებით გამშვებ პუნქტებზე, საზღვარზე, – განაცხადა სუსის უფროსმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ კოორდინირებული მუშაობა შედგა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.

– დაიგეგმა გამკაცრება სხვადასხვა ზომების, სტრატეგიული ობიექტების უსაფრთხოების და ასე შემდეგ. გამკაცრება მოხდა იმ დილითვე, როდესაც მოხდა ტერაქტი, უბრალოდ, ახლა დამატებითი ღონისძიებები გატარდება, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის ბიუჯეტის გაზრდასთან დაკავშირებით, ვახტანგ გომელაურმა ასეთი კომენტარი გააკეთა:

– დღეს არ დგას დღის წესრიგში თემა, რომ ბიუჯეტი აუცილებლად უნდა გაიზარდოს.

გურჯისტანის ვილაიეთის შექმნაზე გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ვახტანგ გომელაურმა განაცხადა:

– ვილაიეთი არ შექმნილა, ეს არის ტყუილი ინფორმაცია.

# ვლადიმერ გაბრიჩიძე, ნანა რევაზიშვილი თუ ირაკლი შოთაძე

## ვინ გახდება მთავარი პროკურორი



თეა წულუკიანმა საპროკურორო საბჭოს მთავარი პროკურორობის კანდიდატებად ვლადიმერ გაბრიჩიძე, ნანა რევაზიშვილი და ირაკლი შოთაძე წარუდგინა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ იუსტიციის სამინისტროდან აცნობეს, კანონის შესაბამისად, დაცულია გენდერული ბალანსი კანდიდატებს შორის ერთი ქალია.

სამინისტროს განცხადებით, მთავარი პროკურორობის კანდიდატების შერჩევამდე იუსტიციის მინისტრი ერთი თვის განმავლობაში მართავდა საჯარო კონსულტაციებს.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ექსპერტებმა, აკადემიურმა წრეებმა პროკურორობის კანდიდატებად ვლადიმერ გაბრიჩიძე, ლაშა გოლუბიანი, ლენა კაპანაძე, ნანა რევაზიშვილი, პაატა შავაძე, ირაკლი შოთაძე და კოტე ჭილაია დაასახელეს.

ერთმა კანდიდატმა კახა კახიშვილმა თავად მოხსნა საკუთარი კანდიდატურა.

დასახელებულ კანდიდატებთან თეა წულუკიანმა გაცნობითი ხასიათის შეხვედრები გამართა.

დღეს, 19 ნოემბერს, საპროკურორო საბჭოს ფორმატში სამივე კანდიდატს გაესაუბრებიან, რის შემდეგაც ფარული კენჭისყრის წესით არჩევნები გაიმართება. საპროკურორო საბჭო თითოეულ კანდიდატს ცალ-ცალკე უყრის კენჭს.

მთავარი პროკურორობის კანდიდატი გახდება ის, ვინც ხმათა 2/3-ს დააგროვებს. ამგვარად დამტკიცებულ კანდიდატს, საპროკურორო საბჭოს სახელით, იუსტიციის მინისტრი მთავრობას წარუდგენს. მთავრობის თანხმობის შემთხვევაში, კანდიდატი საბოლოო არჩევნებისთვის პარლამენტს წარედგინება.

არჩევნებზე დაკვირვება შეეძლებათ არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური და საექსპერტო წრეების, მედიის წარმომადგენლებს.

– მისი მიზანია, ღია და გამჭვირვალე იყოს ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობის პირის შერჩევა, როგორიც მთავარი პროკურორია, და მისი დანიშვნა-გათავისუფლება ერთ პირზე ან ორგანოზე არ იყოს დამოკიდებული.

შერჩევის ასეთი პროცედურა უზრუნველყოფს კანდიდატთან დაკავშირებით სწორი გადაწყვეტილების მიღებას და მთავარი პროკურორის მიმართ საზოგადოების მხრიდან მაღალი ნდობის არსებობას, – აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# პრემიების შეზღუდვით 10 მილიონი დაიზოგება



ნონა ცაბაძე

**ცოტა ხნის წინ უმრავლესობის წევრი, ზაქარია ქუცნაშვილი საქართველოს პარლამენტის წინაშე საკანონმდებლო ინიციატივით წარდგა, რომლის მიხედვითაც მაღალი თანამდებობის პირებს პრემიების აღება აეკრძალებათ.**

**უმრავლესობამ კანონპროექტი დაიწუნა. ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ კანონპროექტი შეიცავს ხარვეზებს და დასახვეწია. ლევან ბერძენიშვილმა კი კანონპროექტს პოპულისტური უწოდა. კანონპროექტი პირველი მოსმენით გავიდა, ხოლო მეორე მოსმენისას რამდენიმე ხმა დააკლდა.**

***– ბატონო ზაქარია, ვნახეთ, თქვენივე კოლეგებმა უმრავლესობიდან არ დაუჭირეს მხარი აღნიშნულ კანონპროექტს. გავა კანონპროექტი მესამე მოსმენით?***

– ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორ შევძლებთ ჩვენი კოლეგების დარწმუნებას ცვლილებების აუცილებლობასა და გარდაუვალობაში. პირველი მოსმენით მე ეს შევძელი, ხოლო მეორე მოსმენისას 6 ხმა დამაკლდა კანონპროექტის კენჭისყრისას.

***– უფრო დეტალურად, რას ითვალისწინებს ეს კანონპროექტი?***

– კანონპროექტი ითვალისწინებს საჯარო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილების შეტანას, რომლის გარდამავალ დებულებაში განისაზღვრება იმ მაღალი რანგის თანამდებობის პირთა ჩამონათვალი, ვისაც ახალი საჯარო სამსახურის კოდექსის ამოქმედებამდე, ანუ 2017 წლის 1 იანვრამდე, შეეზღუდება კანონის ძალით პრემიის აღების უფლება.

***– რატომ 2017 წლის 1 იანვრამდე?***

– იმის გამო, რომ 2017 წლის 1 იანვარს შედის ძალაში ახალი საჯარო სამსახურის კოდექსი და იმით უკვე გათვალისწინებულია პრემიების სისტემის გაუქმება. შესაბამისად, პირთა წრე, ვისაც ეს ეხება...

***– და ვის ეხება?***

– ეს გახლავთ მხოლოდ მაღალი რანგის თანამდებობის პირები, ანუ ის ადამიანები, რომლებიც არიან პარლამენტის ან მთავრობის მიერ დანიშნული პირები და რომლებიც თანამდებობრივი სტატუსიდან გამომდინარე, იღებენ ყოველთვიურ მაღალ თანამდებობრივ სარგოს და დანამატს. სამართლებრივი თვალსაზრისით, პრემია არის ფულადი ჯილდო განსაკუთრებული დამსახურებისთვის.

***– არ უნდა მიიღონ ფულადი ჯილდო კარგი მუშაობისთვის?***

– ბეჯითი მუშაობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას დამსახურებად, ეს მოვალეობაა და არა – დამსახურება. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს შეზღუდვა უნდა შეეხოს მაღალი რანგის თანამდებობის პირებს და არა – საშუალო და დაბალი რანგის თანამდებობოს პირებს.

**ვინმემ რომ მკითხოს, რატომ ვახდენთ სეგრეგაციას და რატომ გვინდა, მაღალი რანგის პირებს მოვუხსნათ პრემიები, საშუალოს და დაბალს კი დავუტოვოთ, მე ვკითხავ: განმისაზღვრონ კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც უნდა გაიცეს პრემია მინისტრზე, მინისტრის მოადგილეზე, მოსამართლეზე, დეპუტატზე თუ მარეგულირებელზე. რითი უნდა გავზომოთ, რომ ამ ხალხმა ეს ჯილდო დაიმსახურა?!**

***– რატომ?***

– საშუალო და დაბალი რანგის ჩინოსნები საჯარო სამსახურმა უბრალოდ იქირავა, მათ აქვთ დაბალი – 900-1.000 ლარიანი თანამდებობრივი სარგოები და მათ უნდა ჰქონდეთ ბეჯითი მუშაობისთვის პრემიის მიღების მოლოდინი.

***– მაღალი რანგისას არ უნდა ჰქონდეს ეს მოლოდინი?***

– მაღალი რანგის თანამდებობის პირს, რომელიც იქირავა ხალხმა, ეს მოლოდინი არ უნდა ჰქონდეს.

***– რატომ ყოფთ ამ ხალხს, ამაზე ვიღაც ხომ შემოგედავებათ?***

– ვინმემ რომ მკითხოს, რატომ ვახდენთ სეგრეგაციას და რატომ გვინდა, მაღალი რანგის პირებს მოვუხსნათ პრემიები, საშუალოს და დაბალს კი დავუტოვოთ, მე ვკითხავ: განმისაზღვრონ კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც უნდა გაიცეს პრემია მინისტრზე, მინისტრის მოადგილეზე, მოსამართლეზე, დეპუტატზე თუ მარეგულირებელზე. რითი უნდა გავზომოთ, რომ ამ ხალხმა ეს ჯილდო დაიმსახურა?!

## რატომ ჩააგდო პარლამენტმა ზაქარია ქუცნაშვილის კანონპროექტი?

***– არ არსებობს მსგავსი მექანიზმი? ან აქამდე რა დამსახურებისთვის იღებდნენ ამხელა პრემიებს?***

– არ არსებობს. მოსამართლეს გამამტყუნებელი განაჩენით გავზომავთ თუ გამამართლებელით? ან დეპუტატს იმით, ბევრს ილაპარაკებს თუ ცოტას?! არ არსებობს ობიექტური საზომი, რაც ფულადი ჯილდოს საფუძვლად შეიძლება იქნას გამოყენებული.

უფრო მეტიც, ევროპელები მიიჩნევენ, რომ მოსამართლეს და სხვა ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს თუ ბეჯითად მუშაობისთვის ექნებათ პრემიის მიღების მოლოდინი, მაშინ ისინი ამ ბეჯითად მუშაობას გააიგივებენ მაამებლურ მუშაობასთან და არა – კანონმორჩილ მუშაობასთან.

***– გამოდის, რომ არგუმენტი ბევრი გაქვთ.***

– დიახ, მოსაზრებები და არგუმენტები საკმაოდ ბევრია სამართლებრივი თვალსაზრისით. მე აღარ ვლაპარაკობ საკითხის პოლიტიკურ მხარეზე, რადგან პოლიტიკური მხარე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

***– ოპონენტების კრიტიკას გულისხმობთ?***

– დიახ. ამ თემას იყენებს ის პოლიტიკური ძალა „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციისთვის, რომელმაც თავად შექმნა ეს სისტემა. მხედველობაში მაქვს ნაციონალური მოძრაობა. ამ სისტემის შემქმნელი ეს დემაგოგიური ჯგუფი რომ დავტოვოთ მშრალზე, აუცილებელია, ამ სისტემის დემონტაჟი მოვახდინოთ.

***– თქვენივე გუნდის წევრები რატომ არიან უკმაყოფილონი და მხარს არ გიჭერენ? მათ არ სურთ, რომ დათმონ პრემიები და დანამატები?***

– დეპუტატებს თუ გულისხმობთ, პარლამენტში არსებული უმრავლესობის უმრავლესობა ამ ინიციატივას უჭერს მხარს. ეს გამოიხატა როგორც პირველი, ასევე მეორე კენჭისყრისას.

***– თუმცა, მეორეზე ვერ გავიდა.***

– რა თქმა უნდა, არიან მოწინააღმდეგენიც. მათ, როგორც ჩანს, არ ესმით პრობლემის არსი.

***– პენსიების და დანამატების საკითხით ყველაზე მეტად სოციალურად დაუცველები და პენსიონერები არიან გაღიზიანებულნი. 2016 წლის ბიუჯეტში პენსიის მატება არ არის გათვალისწინებული. თუკი მაღალი თანამდებობის პირები დათმობენ პრემიებს, ამ შემთხვევაში თუ არის შესაძლებელი პენსიის მატება?***

– ჩემი კანონპროექტი ითვალისწინებს 746 მაღალი რანგის თანამდებობის პირისთვის პრემიის აღების უფლების შეზღუდვას. ეს თანხა შეადგენს 2,5 მილიონს კვარტალში, ანუ 10 მილიონს წელიწადში. ეს 10 მილიონი საკმარისი არ არის პენსიების ზრდისთვის. ეს თანხა მარტო ერთთვიან 10 ლარიან მატებას ეყოფა.

***– არ არის საშუალება, გამოინახოს თანხები, რომ პენსიამ მოიმატოს?***

– ვნახოთ. დიმიტრი ხუნდაძემ დასვა ეს საკითხი ბევრად ადრე, ვიდრე ბაქრაძე ჩაატარებდა თავის ცნობილ პრესკონფერენციას. მთავრობა შემოვა გადამუშავებული ბიუჯეტით პარლამენტში, ვნახოთ, რა იქნება.

მე არ მინდა მოვლენებს გავუსწრო წინ და რაიმე მოლოდინი შევქმნა. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

# „ქართული ოცნება“ მზადაა, მარგველაშვილთან დაპირისპირებას ქვეყანა გადააყოლოს“

შორენა მარსაგიშვილი

ემუქრება თუ არა საქართველოს რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება, რა საფრთხეებს უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას „ქართული ოცნების“ და პრეზიდენტის დაპირისპირება, რას ერჩიან მმართველ გუნდში დუმბაძეებს, რამდენი ახალგაზრდა წავიდა აჭარიდან ისლამური სახელმწიფოს მხარეზე საომრად? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე ესაუბრება.

***– ექსპერტთა ნაწილი შიშობს, რომ შესაძლოა საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება დაიწყო. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყვით, აჭარის რეგიონში მრავლად სახლობენ როგორც ქრისტიანები, ასევე მუსლიმები და მათ შორის დაძაბულობა თუ შეინიშნება?***

– აჭარა მთელს დედამიწაზე უნიკალური რეგიონია, აქ ძალიან დიდი ხნის მანძილზე მშვიდობიანად თანაარსებობენ მუსლიმანები და ქრისტიანები. რელიგიური ურთიერთობის თვალსაზრისით მსოფლიოს მაგალითად მომავალშიც უნდა ვიქცეთ, აქ ბევრია ოჯახი, სადაც ქმარი მუსლიმია, ხოლო ცოლი – ქრისტიანი, ანდა პირიქით. მთლიანად საქართველოში არანაირი ნიშნები არ არსებობს იმისა, რომ ადამიანები რელიგიურ ნიადაგზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

***– ნიშნები არ არისო, კი ამბობთ, მაგრამ რიგ რეგიონებში რელიგიურ ნიადაგზე არაერთხელ გამწვავდა ვითარება. ასეთი ფაქტები მიმდინარე წელსაც დაფიქსირდა.***



– ასეთი ფაქტები მომავალშიც იქნება, მაგრამ მათ რელიგიასთან საერთო არაფერი აქვს. მგონია, რომ დაპირისპირებაში ჩართული ადამიანები ბინძურ პოლიტიკაზე წამოეგნენ და მათ არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს. არსებულ და წინა ხელისუფლებას სურდა, ამით პოლიტიკური ქულები დაეწერა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და რელიგიური ნიშნით დაპირისპირების მცდელობას საქართველოში წერტილი დაესვა.

## მურმან დუმბაძე: „პრეზიდენტის გამოსახლებაზე ყველა განცხადება არის ზღაპარი“

***– საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, მათ შორის აჭარიდანაც წავიდნენ ახალგაზრდები ისლამური სახელმწიფოს მხარეს საომრად. ბოლო დროს მსოფლიოში განვითარებული მოვლენების გამო, ეს რაიმე დაძაბულობას ხომ არ გამოიწვევს რეგიონში?***

– არა მგონია. ადამიანს, რომელიც ტერორისტულ ორგანიზაციაში ეწერება და რელიგიას იარაღად იყენებს, რწმენასთან კავშირი არ აქვს. საქართველოს პატრიარქმა ამასთან დაკავშირებით ძალიან კარგი განცხადება გააკეთა და თქვა, ეს ყველაფერი რელიგიას არ უნდა დავუკავშიროთო. დარწმუნებული ვარ, იქ ახალგაზრდები რელიგიურობის გამო არ მიდიან. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ახალგაზრდების დასაქმებისთვის. აქაურ ახალგაზრდებს სამსახური რომ ჰქონოდათ და თავი უსაფრთხოდ ეგრძნოთ, სხვის ომში არ წავიდოდნენ.

არც აჭარაში და არც დანარჩენ რეგიონებში ამ თემის გარშემო ვითარების გამწვავებას არ ველოდები. ამის მიუხედავად, ხელისუფლებამ უსაფრთხოების ზომები უნდა გააძლიეროს და საზღვრებზე კონტროლი გაამკაცროს. ხელისუფლებამ ამაზე უნდა იზრუნოს და არა იმაზე, როგორ შეუქმნან უშიშროების საბჭოს პრობლემები.

***– თქვენი აზრით, მთავრობა უშიშროების საბჭოს პრობლემებს უქმნის?***

– პრობლემებს, პირველ რიგში, ქვეყნის უსაფრთხოებას უქმნიან. უშიშროების საბჭო პრეზიდენტის ადმინისტრაციის კონტროლქვეშაა და უშუალოდ მარგველაშვილი მეურვეობს მას. როგორც კი ამ სისტემამ ამუშავება დაიწყო, მთავრობამ შექმნა პარალელური სტრუქტურა და მას კრიზისების მართვის საბჭო დაარქვა.

გიორგი მარგველაშვილმა ჯერ კიდევ სექტემბერში განაცხადა, რომ ნოემბერში უშიშროების საბჭოს სხდომას მოიწვევდა. პარიზის ტერაქტთან დაკავშირებით მან საბჭოს სხდომა ამ დღეებში ჩანიშნა, მოქმედმა პრემიერმა ღარიბაშვილმა კი კრიზისების მართვის საბჭოს სხდომა მოიწვია. მთავრობამ განაცხადა, ამ სხდომას დავესწრებითო.



პარალელიზმი ქვეყანას არაფერში გამოადგება, განსაკუთრებით მა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ნიკა მელია: „ნარმანიას ადგილზე გადავდგებოდი“

## „შემოვლითი რკინიგზა თბილისს საცობებისგან დაიცავს“

ნათია ხურცილავა

**ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერი ნიკა მელია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში დედაქალაქის ბიუჯეტის არასწორ დაგეგმვაზე საუბრობს. მერობის ყოფილი კანდიდატის განცხადებით, ეს ბიუჯეტი თბილისის გამოწვევებს ვერ პასუხობს.**

ნიკა მელია:

– სამწუხაროა, რომ შექმნილი ვითარების მიუხედავად, რომელიც დედაქალაქშია, ქალაქის მთავარი დოკუმენტი, ბიუჯეტი, ადეკვატური არ არის. დაგეგმილი ბიუჯეტი არსებულ გამოწვევებს ვერ პასუხობს.

7 მილიონი ლარით იზრდება სახელფასო ფონდი, მაშინ, როდესაც სოციალური ნაწილი მცირდება. თბილისის ქუჩები გადათხრილია და ასფალტის დაგებას ვერ დაადგა საშველი. 512 ერთეული თანამშრომლით არის გაზრდილი მერიაში თანამშრომლები, მაგრამ ამას ვერ გრძნობენ თბილისელები. უამრავი კარგი ინფრასტრუქტურული პროექტი შეჩერდა. ჩვენ ავტობუსის მძღოლებისთვის ვითხოვდით ხელფასების გაზრდას, მაგრამ ეს არ გააკეთეს.

***– დავით ნარმანიამ თქვა, ოპოზიციამ რა იცის ბიუჯეტის დაგეგმვაო.***

– ამას ამბობს ადამიანი, რომელმაც, როგორც გვითხრა, არ იცის, ვინ თხრის თბილისის ცენტრალურ უბნებში ქუჩებს. ნეტა, ღამღამობით თხუნელები და მელიები ხომ არ თხრიან? როგორ შეიძლება ეს თქვას დედაქალაქის მერმა. რა ხდება?! რატომ ვერ აგებენ გზებს?! რატომ შეჩერდა ინფრასტრუქტურული პროექტები?!

***– ნარმანიამ იმ კომპანიებზე ისაუბრა, რომლებმაც სამუშაოს თავი ვერ გაართვეს.***

– და ეს არის გამოსავალი? საქმეს განა არ აკეთებენ, ვერ აკეთებენ. როგორ შეიძლება, დავით ნარმანიას საქმის კეთება არ უნდოდეს და ისე იჯდეს იქ, ეს წარმოუდგენელია, ამის არ მჯერა. გამოუცდელობა და არაპროფესიონალიზმი არის მიზეზი. უკვე კრიტიკამაც დაკარგა ფასი.

***– რატომ?***

– ვერაფერს აკეთებენ, რაც არ უნდა უთხრა და გააკრიტიკო, მაგრამ იქნებ მაინც რამე გავაკეთებინოთ, სანამ ხელისუფლებაში არიან. არ მოვეშვები, სანამ მისი პიარ-სამსახურის ხელმძღვანელ ქალბატონ ივანიშვილს, რომელსაც თვეში 6.225 ლარი აქვს ხელფასი, არ შეუმცირებს. ეს არის შეურაცხყოფა და სხვა არაფერი, რადგან ნარმანიას მოადგილეებსაც კი არ აქვთ ამხელა ხელფასი. საბავშვო ბაღის პედაგოგების ორი წლის ხელფასს იღებს ეს ქალი ერთ თვეში.

დღეს მერია დისფუნქციურია. ბევრი თანამდებობის პირი მხოლოდ ნომინალურად არის დანიშნული.

***– ეს საიდან იცით?***

– იქიდან, რომ დამოუკიდებლად გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ, ეს კი იწვევს იმას, რაც ხდება.



**არ მოვეშვები, სანამ მისი პიარ-სამსახურის ხელმძღვანელ ქალბატონ ივანიშვილს, რომელსაც თვეში 6.225 ლარი აქვს ხელფასი, არ შეუმცირებს**



***– მთავარი პრობლემა რა არის?***

– მერიამ მთავარი შეცდომა მაშინ დაუშვა, როდესაც დაწყებული პროექტები შეაჩერა. მაგალითად, მზის პანელების საპილოტე პროექტი თემქაში უკვე დავიწყეთ, ეს ჩემი წინასაარჩევნო პროგრამის ნაწილი იყო, სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ.

***– პრემიერმა ეს იდეა გაახმოვანა.***

– დიახ. გვითხრა, მთელი თბილისის მასშტაბით უნდა გაკეთდესო, მაგრამ ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის, არადა მნიშვნელოვანი პროექტია. შემოვლითი რკინიგზა უკვე დასრულებული უნდა იყოს. მისი მშენებლობა რომ არ შეეჩერებინათ, თბილისში ასეთი საცობები არ იქნებოდა.

***– შემოვლითი რკინიგზა საცობებისგან დაიცავს ქალაქს?***

– ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ. თბილისის ცენტრალური უბნები განტვირთული იქნებოდა. ეს პროექტი თავის დროზე სწორედ საცობებისგან დედაქალაქის განტვირთვას ისახავდა მიზნად. სამუშაოების 65% უკვე შესრულებული იყო, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ ეს პროექტი შეაჩერა უსუსური არგუმენტით.

რკინიგზის შემოვლითი პროექტი უნიკალურია არა მხოლოდ საცობების მოხსნის თვალსაზრისით – მარცხენა სანაპიროზე 100 ჰექტარი მიწის ნაკვეთი თავისუფლდებოდა. თბილისს 3 სანაპირო ექნებოდა.

80 მილიონი გამოყო აზიის განვითარების ბანკმა თანამედროვე ტექნოლოგიებით ხიდის აშენებისთვის, რომელიც დიდუბეს დიღომთან დააკავშირებდა, მაგრამ ეს პროექტიც შეჩერდა.

***– მიზეზი რა დასახელდა?***

– თითქოს საცობებს გააორმაგებდა, ეს გვითხრა ინფრასტრუქტურის ყოფილმა მინისტრმა ხოკრიშვილმა, სასაცილო არგუმენტია.

ეს ორი პროექტიც რომ ყოფილიყო დღეს ექსპლუატაციაში, სულ სხვა რეალობა გვექნებოდა. სამსახურიდან ადამიანები სახლში ველარ ბრუნდებიან და სახლიდან დილით სამსახურში ველარ მიდიან, ისეთი საცობია, მაგრამ უკვე პიკის საათიც კი აღარ არის. რა დროსაც არ უნდა გახვიდე, საცობია. სასწრაფო დახმარების, სახანძროს, საგანგებო-სამაშველო სამსახურის მანქანები ველარ გადაადგილდებიან, ეს დიდი პრობლემაა.

***– თქვენ რომ იყოთ დავით ნარმანიას ადგილზე, რას გააკეთებდით?***

– მე, ნარმანიას ადგილზე რომ ვიყო, აუცილებლად გადავდგებოდი. როდესაც კომპანიის მენეჯერი წარუმატებელია და კომპანიას ვერ მართავს, ის მიდის. მაგალითად, ფეხბურთის გუნდი როდესაც ზედიზედ აგებს, მწვრთნელი ტოვებს გუნდს.

***– ნარმანია არჩეულია და ხომ არის განსხვავება?***

– რა მნიშვნელობა აქვს, არჩეულია თუ არა, საქმე ვერ კეთდება. მე მის ადგილზე ასე მოვიქცეოდი. კი არ ვაიძულებ, რომ გადადგეს, მე როგორ მოვიქცეოდი, იმას გეუბნებით. არავინ არსად არ შეუვარდება და აქციებს არ მოუწყობს, რომ გადადგეს.

***– თქვენ სად ხედავთ გამოსავალს?***

– 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ეს ხელისუფლება ოპოზიციაში უნდა გადავიყვანოთ. ივანიშვილი უნდა ჩამოშორდეს მართვის სადავეებს, ის არაფორმალურად მართავს ადგილობრივ ხელისუფლებასაც და ცენტრალურ ხელისუფლებასაც. მინისტრები, მერები, გამგებლები ყველა დაკომპლექსებულია.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ყველა უუნაროა და არავის შეუძლია საქმის კეთება. არა, საქმე ის არის, რომ გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ, ვაითუ ბიძინას არ მოეწონოსო, ფიქრობენ. ეს არის მწარე რეალობა. ამიტომ ურჩევნიათ, არაფერი გააკეთონ, სტაგნაციაში იყვნენ. რამდენიმე მინისტრთან უშუალო ურთიერთობა მაქვს და ეს ვიცი. მათაც არ მოსწონთ ამ მდგომარეობაში ყოფნა.

***– მაგალითად ვის, არ გვეტყვით?***

– ხელისუფლების რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირს მე ვიცნობ.

***– პირადად იცნობთ?***

– დიახ. ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ურთიერთობა გვქონია და მქონია მათთან საუბრის საშუალება. ამიტომ გეუბნებით, ვიცი ეს წუხილები. ივანიშვილი არის მთავარი პრობლემა, სამი წელი იყო საკმარისი იმისთვის, რომ დავრწმუნებულიყავით ამ ხელისუფლების შესაძლებლობებში.

წინა ხელისუფლება მოგვწონდა თუ არ მოგვწონდა, ფაქტია, რომ საქმე კეთდებოდა. არ გადიოდა არც ერთი სეზონი, რომ უბნის ქუჩის რეაბილიტაცია არ მომხდარიყო.

***– თუმცა, ბატონო ნიკა, დანგრეული სახლიც გვახსოვს, ადამიანები საკუთარი სახლებიდან როგორ გამოიყვანეს.***

– თაბუკაშვილის ქუჩის მაგალითი წინა ხელისუფლებისთვის ძალიან ცუდი მაგალითია. ეს იყო უგუნური ნაბიჯი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები რუსთაველზე, პირველი სკოლის უკან აშენებულ სახლში გადაიყვანეს.

***– ამ ადამიანების უამრავი უფლება დაირღვა, მათ შორის საკუთრების უფლება და ამაზე აგო ვინმემ პასუხი?***

– თქვენ თუ ფიქრობთ, რომ იმ ხელისუფლების ამ ნაბიჯს მე გავამართლებ, ძალიან ცდებით. მე წარმოუდგენლად მიმაჩნია ამის გამართლება და პატიება. მაგრამ აქვე არ შემიძლია არ ვახსენო, მაგალითად, კალაუბანი, აბანოთუბანი, ლელვთახევი. ამ ხელისუფლების პირობებში მოხდა რომელიმე არათუ უბნის, რომელიმე სახლის რეაბილიტაცია, აღდგენა? ქალაქის განვითარების გენგეგმაზე რამდენიმე უწყება მუშაობს, რისთვისაც 6 მილიონზე მეტი ლარი იხარჯება, მაგრამ თუ „პანორამა თბილისის“ პროექტი განხორციელდა, მაშინ ქალაქის განვითარება თავდაყირა დგება.

***– ანუ ის გენგეგმა, რომელიც ახლა იქმნება, გამოუსადეგარი იქნება?***

– რა თქმა უნდა. სწორედ ამას ვამბობ.

# „ქართული ოცნება“ მზადაა, მარგველაშვილთან დაპირისპირებას ქვეყანა გადააყოლოს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

შინ, როცა საქმე სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვას ეხება. საფრანგეთი საქართველოსთან შედარებით ბევრად ძლიერი ქვეყანაა და იქ სპეცსამსახურებიც გაცილებით უკეთ მუშაობენ, მაგრამ მათაც კი გაეპარათ ტერორისტები. ამ მხრივ ჩვენ განსაკუთრებით დიდი მუშაობა გვმართებს. რაც უნდა განსხვავდებოდეს პრეზიდენტის და მთავრობის პოზიციები, უსაფრთხოების დაცვაზე ისინი უნდა შეთანხმდნენ.

კრიზისების მართვის საბჭო არის უშიშროების საბჭოს პარალელური სტრუქტურა, რომელიც საქართველოს არ გამოადგება. უშიშროების საბჭოს ფორმატი უნდა დარჩეს და მინისტრები იქ უნდა იკრიბებოდნენ პრეზიდენტთან ერთად და გიორგი მარგველაშვილიც უნდა იყოს ჩართული უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში.

***– მინისტრებმა ადრეც თქვეს უარი, დასწრებოდნენ უშიშროების საბჭოს სხდომას. ახლა, როცა ასეთი გამოწვევების წინაშე დავდექით, რატომ ჯიუტობს მთავრობა?***

– ეს მთავრობის სიჯიუტე არ არის, ამ შემთხვევაში ყოფილი პრემიერის ახირებასთან გვაქვს საქმე. ბიძინა ივანიშვილი მარგველაშვილთან პიროვნულად არის დაპირისპირებული. ამიტომაც არის, რომ ივანიშვილ-ღარიბაშვილის მთავრობა მას პრობლემებს უქმნის.

გასაგებია, რომ ივანიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ნაციონალების გაშვებაში, მაგრამ მისი ახირება საქართველოს სახელმწიფოებრიობისადმი ნეგატიურია. მაინტერესებს, სადამდე გასტანს ყოფილი პრემიერის უპასუხისმგებლობა. საკმარისია, მარგველაშვილი უხსენო, რომ ელეთმელეთი მოსდის. მოქალაქე ივანიშვილის საქმე არ არის, რა ჯდება პრეზიდენტის შენახვა. წამოსწია თუ არა ეს თემა, ახლა მთელი „ქართული ოცნება“ იმას გაიძახის, პრეზიდენტის რეზიდენციის შენახვა ძვირი ჯდებაო.

## „საქართველოში რელიგიური დაპირისპირების მცდელობას წერტილი დაესვა“

***– ორი უშიშროების საბჭოს შენახვა არ უჯდება ქვეყანას ძვირი?***

– იმედია, ამაზეც გააკეთებს მოქალაქე ივანიშვილი განმარტებებს. მოქმედი პრემიერი ყოფილის რჩევებს უსიტყვოდ ითვალისწინებს და ვთხოვ, რომ ღარიბაშვილს ურჩიოს, გააუქმოს კრიზისების მართვის ცენტრი. ამ შემთხვევაში მარტო იმაზე არ არის საუბარი, რომ ორი პარალელური სისტემის შენახვა ძვირი გვიჯდება. ეს არის ხელისუფლების შტოების დაბალანსების კონსტიტუციური საფუძვლების მორყევის მცდელობა. ამან ქვეყანაში, შესაძლოა, სერიოზული კრიზისი გამოიწვიოს.

კიდევ კარგი, გიორგი მარგველაშვილი, როგორც ხელისუფალი, ძალიან ადეკვატურად იქცევა. მისი ფანი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ვაღიარებ, რომ ეს კაცი ყოველდღე უფრო ამართლებს იმ სტატუსს, რომელსაც პრეზიდენტი ჰქვია. პიროვნული დაპირისპირებით ქვეყნის მართვა საქართველოს არ გამოადგება.

ახალბედა სახელმწიფო ვართ და ისედაც ვერ ვუმკლავდებით პრობლემებს. ახლახან დემოკრატიულობაშიც კი შეგვექმნა პრობლემები.

***– რას გულისხმობთ?***

– ჩემმა მოგვარემ, დიასპორის მინისტრმა, განაცხადა, რომ მისთვის მიუღებელია ის დამოკიდებულება, რასაც მთავრობა რუსულ გაზპრომთან იჩენს. რუსული გაზი განსაკუთრებით ივანიშვილს, ღარიბაშვილს და კალაძეს მოსწონთ. გელა დუმბაძე კი წინააღმდეგია, მაგრამ მთავრობა თუ გადაწყვეტს გაზპრომთან ხელშეკრულების გაფორმებას, ის უნდა დაყაბულდეს და გუნდურად იმოქმედოს. გადაწყვეტილების მიღებამდე კი თავისუფლად შეუძლია საკუთარი აზრის გამოთქმა.

მიხარია, რომ საქართველოს მთავრობაში აღმოჩნდა ადამიანი, რომელმაც განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა. განსაკუთრებით მიხარია, რომ ის გვარად დუმბაძეა.

***– საქართველოში რუსული გაზის შემოსვლაზე რას ფიქრობთ, სახიფათოა?***

– კითხვის ნიშნები არის. ხელისუფლებას თავიდანვე ღიად უნდა ემოქმედა. ამის ნაცვლად, მთავრობის წევრები გაზპრომის ხელმძღვანელობას სხვადასხვა ქვეყნებში ჩუმად ხვდებოდნენ. ახლა კეთილი ინებონ და კარგად აუხსნან მოსახლეობას, რა არის დივერსიფიკაცია და რა არის ალტერნატიული წყაროების მოძიება.

***– გელა დუმბაძის მიერ განსხვავებული პოზიციის დაფიქსირების შემდეგ უმრავლესობის დეპუტატების ნაწილი დიასპორის მინისტრის პოსტის გაუქმებაზე ალაპარაკდა. ეს ნორმალურია?***

– ეს მთავრობა დუმბაძეებს აშკარად ვერ გვგუობს. ეს ხუმრობით, ახლა კი სერიოზულად. მთავრობას უპირობო ერთსულოვნება დაღუპავს. ყველა ხელისუფლება საკუთარი უნიათობის ხარჯზე დამარცხდა. არც ერთი ოპოზიციური ძალა ისეთი ძლიერი არ ყოფილა, რომ ხელისუფლებისთვის მოეგო. ყველა ხელისუფლება თავად ჭედდა საკუთარ დამარცხებას. ესენიც ასე იქცევიან.

***– თქვენი აზრით, წავლენ ამ სამინისტროს გაუქმებაზე?***

– წინასწარ არ ვიცი, რას იზამენ. ის კი ნათელია, რომ უმრავლესობა ასეთი განცხადებებით ივანიშვილისთვის თავის მოწონებას ცდილობს. ჰგონიათ, რომ ამის შემდეგ 2016 წლის საარჩევნო სიაში მოხვდებიან.

***– თქვენ კარგად იცნობთ ივანიშვილს და როგორ გგონიათ, დააფასებს მათ ამაგს?***

– საარჩევნო სიაში მოხვედრის იმედი ტყუილად აქვთ. ჩემი რჩევა იქნება, გელა დუმბაძესაც თავი დაანებონ და პრეზიდენტის დაუმსახურებელი კრიტიკაც შეწყვიტონ. რჩევა ბევრჯერ მიმიცია, მაგრამ არ ითვალისწინებენ და ალბათ არც ამას გაითვალისწინებენ.

***– და გაგრძელდება პრეზიდენტის ლანძღვა?***

– სამწუხაროდ, ასე იქნება. მარტო ლანძღვას ვინ ჩივის, ანტისახელმწიფოებრივად იქცევიან. „ქართული ოცნება“ მზადაა, პრეზიდენტთან დაპირისპირებას ქვეყანა გადააყოლოს. საინტერესოა, სად გადის მათი უპასუხისმგებლობის ზღვარი. კიდევ კარგი, მარგველაშვილი მაინც იქცევა ღირსეულად. ამათ გამოხდომებს პასუხებს არ სცემს. მისი მიზანი ღირსეული სახელმწიფოს შექმნაა. რაც მთავარია, მას უნდა, რომ ყველას პრეზიდენტი იყოს.

„ქართული ოცნებისთვის“ ერთ განმარტებასაც გავაკეთებ – საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ განსაზღვრავს პრეზიდენტის ადგილმდებარეობის საკითხს. იქ პირდაპირ წერია, რომ პრეზიდენტი თავისი ფუნქციონირებისთვის ზის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. ადმინისტრაციის საქმიანობის წესი ორგანული კანონით და პრეზიდენტის ბრძანებულებით არის განსაზღვრული.

რამდენადაც ვიცი, გიორგი მარგველაშვილს გამოცემული აქვს ბრძანებულება, სადაც მისი სამუშაო ადგილი არის მითითებული. ასე რომ, მის გამოსახლებას ტყუილად ცდილობენ და ამას არაფერი ეშველება.

***– ვერ გამოასახლებენ?***

– ერთადერთი გზა პრეზიდენტის პოსტის გაუქმებაა. სხვა გზა არ არსებობს და ყველა განცხადება მის გამოსახლებაზე არის ზღაპარი.

# „საგარეჯოში ნაციონალები ინაშვილსაც ეხმარებოდნენ და ხიდაშელსაც“

მარიამ მჭედლიშვილი

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დამფუძნებელი მირიან მირიანაშვილი აცხადებს, რომ ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში მიმდინარე კრიზისული პროცესები მიხეილ სააკაშვილის მიერაა პროვოცირებული.

— მთავრობის ადმინისტრაციასთან მიმდინარეობს შიმშილობის აქცია იმის გამო, რომ გაყალბდა შუალედური არჩევნები საგარეჯოში. სააკაშვილმა საამისოდ თავიდანვე დაიჭირა თადარიგი – ნაცმოძრაობამ უარი თქვა ამ არჩევნებში მონაწილეობაზე, ხელი შეუწყო სხვა პარტიების მიერ ბოიკოტის გამოცხადებას.

გარდა ამისა, საგარეჯოში დაიწყო ნაციონალების ორმაგი თამაში: ერთი მხრივ, ნაციონალური პარტიის აქტივისტები ეხმარებოდნენ „ქართული ოცნების“ რესპუბლიკელ კანდიდატ თამარ ხიდაშელს, მეორე მხრივ კი, ნაცმოძრაობის წევრები ხმას აძლევდნენ საქართველოს პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელს ირმა ინაშვილს, — განუცხადა „ახალ თაობას“ მირიან მირიანაშვილმა.

***— ინსპირატორებისათვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ ამ არჩევნების შედეგებს პროტესტი მოჰყვებოდა?***

— რა თქმა უნდა. იყო გათვლა, რომ „ქართული ოცნება“ დაეპირისპირებინათ იმ პარტიასთან, რომელიც მხარს უჭერდა პრემიერ ღარიბაშვილს. ახლა სააკაშვილი კმაყოფილია იმით, რომ დედაქალაქსა და რაიონებში მიმდინარეობს შიმშილობის მასობრივი აქციები.

გაყალბებული არჩევნების გამო, აქციების მოწყობა შესაძლებელია, ოღონდ, პროტესტი არ უნდა გასცდეს არჩევნების თემას. აქციის მონაწილეებმა უნდა მოითხოვონ საგარეჯოში ახალი არჩევნების ჩატარება, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება, მაგრამ მათ არ უნდა დააყენონ ისეთი საკითხები, რომელთა შესრულებაც სცილდება ბიძინა ივანიშვილის შესაძლებლობებს და რომლებიც კრიზისს გამოიწვევს.



## „წულუკიანი ვერ აკონტროლებს სააკაშვილის ლობის“

***— გინდათ თქვათ, რომ აქციის მონაწილეებმა არ უნდა მოითხოვონ ორი მინისტრის გადაყენება?***

— დიახ. ეს მოთხოვნა თავად ირმა ინაშვილს დააზიანებს. მინისტრების გადაყენება შექმნის საპარლამენტო კრიზისს და რესპუბლიკელების განდგომას. უმრავლესობის რიგები შეთხელდება. პარლამენტში ერთად აღმოჩნდებიან რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები და ნაციონალები. არჩევნებამდე დარჩენილ დროში ხელისუფლებას კრიზისულ სიტუაციაში მოუწევს მართვა.

***— იქნებ, პროტესტანტებს ვადამდელი არჩევნების იმედი აქვთ?***

— თუ პატრიოტთა ალიანსის ლიდერები ფიქრობენ, რომ ვადამდელ არჩევნებს მიაღწევენ, რესპუბლიკელებს განდევნიან, მათ ადგილს დაიკავებენ და თან პარლამენტში უმრავლესობით მოვლენ, გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონიათ თავზე.

## მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილს მოქალაქეობას არ წაართმევენ“

მირიან მირიანაშვილის ინფორმაციით, არჩევნების თემაზე ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებს ნაციონალური მოძრაობაც აპირებს:

— სააკაშვილს უნდა მიაჩვიოს დასავლეთი, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნების გამყალბებელია. დიდ საპროტესტო აქციებს საარჩევნო თემაზე ნაციონალური მოძრაობის ლიდერები 2016 წლის არჩევნების შემდეგ გეგმავენ. უკვე ჩაფიქრებულია შიმშილობის აქციებიც, რომლებშიც ნაცმოძრაობის სატელიტი პარტიები და პოლიტიკოსები ჩაერთვებიან.

იმისთვის, რომ ქვეყანა ამ კატაკლიზმებს ასცდეს, პოლიტიკოსის აზრით, აუცილებელია, სააკაშვილი გახდეს ემიგრანტი, მის მიერ უკანონოდ მითვისებული ნაციონალური მოძრაობა კი ნამდვილ დამფუძნებლებს დაუბრუნდეს.

მირიან მირიანაშვილის მტკიცებით, ხელისუფლებას, ხმამაღალი განცხადებების მიუხედავად, ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს უკრაინის მოქალაქე სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამოსართმევად.



***— თეა წულუკიანმა ხომ გაგზავნა დოკუმენტი უკრაინაში?***

— ეს დოკუმენტი სადღაც ჩაიკარგა. იაცენიუკის აპარატი აცხადებს, რომ უკრაინის არც ერთი ინსტანციისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არაფერი არ გაუგზავნია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ თეა წულუკიანი, როგორც მინიმუმ, ვერ აკონტროლებს სააკაშვილის ლობის თავის სამინისტროში. პროცესი გაიჭიმება. ამაში პრეზიდენტიც მიიღებს მონაწილეობას.

ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა არ მოუხსნან. არადა, ამით ირღვევა კონსტიტუცია და მთელი რიგი კანონები. უკრაინის პრეზიდენტის საიტზე მაისის ბოლოს გამოქვეყნებული დოკუმენტი — სააკაშვილისათვის უკრაინის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ — იმას ნიშნავს, რომ მას საქართველოს მოქალაქეობა მაშინვე უნდა შეწყვეტოდა. ეს უნდა მომხდარიყო 7 თვის წინ. პროცესი ჭიანურდება, ხელისუფლება კი გვატყუებს.



***— მოქალაქეობის შეწყვეტის შემდეგ სააკაშვილი ვეღარ უხელმძღვანელებს პარტიას.***

— დიახ. თუ პარტიას სხვა თავმჯდომარე ეყოლება, ნაცმოძრაობა ქვეყანას საფრთხეს ვერ შეუქმნის. ახლა იგეგმება ნაციონალების მოსვლა ხელისუფლებაში. ამისთვის გამოიყენებენ 2003 წლის მოვლენების მეთოდებს. მას შემდეგ, რაც პარტია წაგვართვეს, ნაცმოძრაობა იქცა ოლიგარქთა სუბიექტად და არა პარტიად. აქ ჩაიდო რუსი და უკრაინელი ოლიგარქების ინტერესები. სააკაშვილი უკრაინაშიც ამ ინტერესებს ატარებს და ეწევა ეკონომიკურ-პოლიტიკურ რეკეტს.

სააკაშვილს თავისი ქონება უკრაინაში, თურქეთსა და აზერბაიჯანში აქვს დაბანდებული. წამება და სადიზმი, რომელთაც სააკაშვილი 10 წლის განმავლობაში საქართველოში იყენებდა, იმისთვის იყო საჭირო, რომ არ ყოფილიყო წინააღმდეგობა, რომ არავინ გამოსულიყო ქვეყნის საყოველთაო ძარცვის წინააღმდეგ. ეს რომ არ განმეორდეს, ზომებია მისაღები.

# ნარმანიამ კალაძის ცოლისძმის ადგილზე კალაძის ცოლისძმის მეგობარი დანიშნა

შორენა მარსაგიშვილი

გაიხარეთ საცობებით გაწამებულო თბილისელებო, დედაქალაქის მერია სრული დატვირთვით ამუშავდება და არსებული პრობლემები შარშანდელი თოვლივით გაქრება.

ქალაქის თავმა დავით ნარმანიამ, საქალაქო სამსახურების უფროსებისა და ვაკის რაიონის გამგებლის კანდიდატურები წარადგინა.

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამდებობაზე საკრებულოს დასამტკიცებლად გივი კუბლაშვილის კანდიდატურა წარედგინება. ნარმანიას განცხადებით, გივი კუბლაშვილი განათლებით სამართალმცოდნეა და მას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორებში.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამდებობაზე დასანიშნად საკრებულოს გიორგი ბაგრატიონის კანდიდატურა წარედგინება. გიორგი ბაგრატიონი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორია და იგი ამ დრომდე დედაქალაქის მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ერთ-ერთ შპს-ს, „თბილსერვის ჯგუფს“ ხელმძღვანელობს.

განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე საკრებულოს ირაკლი გვილავას კანდიდატურა წარედგინება.

კიდევ ერთი სამსახური, რომლის უფროსის კანდიდატურაც საკრებულოს წარედგინება, ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურია. ამ თანამდებობაზე ნოდარ ჭიჭინაძის კანდიდატურაა წარდგენილი.

ნოდარ ჭიჭინაძე პროფესიით ეკონომისტია. წლების განმავლობაში მონაწილეობდა საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმებსა და პროგრამებში. ამავდროულად გახლავთ არაერთი ვრცელი ნაშრომისა და პუბლიკაციის ავტორი საფინანსო სფეროში.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კი საკრებულოს ნინო სულხანიშვილის კანდიდატურა წარედგინება.

ნინო სულხანიშვილი 1993 წლიდან მუშაობდა მერიის მიწის მართვის სამმართველოში. მოგვიანებით მან საქმიანობა განაგრძო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ვაკის რაიონის გამგებლად დედაქალაქის მერმა ნოდარ ტურძელაძე წარადგინა, რომელიც ამ დრომდე ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილეა.





## ლევან ხაბეიშვილი: „მერიაში მაღალ თანამდებობებზე მხოლოდ სუსის და ივანიშვილის ფავორიტები ინიშნებიან“

ნარმანია იმედოვნებს, რომ მის მიერ წარდგენილი კანდიდატები მერიაში სასწაულებს მოახდენენ.

სასწაულების არ სჯერა ნარმანიას სისხლისგამაშრობელ ლევან ხაბეიშვილს. მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ ამ საკადრო ცვლილებებით არაფერი შეიცვლება, რადგან კადრები პროფესიული თვალსაზრისით არ შეურჩევიათ.

— დავით ნარმანიამ ხუთი საქალაქო სამსახურის უფროსი წარადგინა, აქამდეც გასაგები იყო, რომ დედაქალაქის მერიაში დავით ნარმანიას არავინ არაფერს ეკითხებოდა. მით უმეტეს, საკადრო პოლიტიკის ახალმა კადრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მერიაში მაღალ თანამდებობებზე მხოლოდ სუსის და ივანიშვილის ფავორიტები ინიშნებიან, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ხაბეიშვილმა.

მისი თქმით, ამის ნათელი დადასტურება „ელიტა ბურჯის“ სამეურნეო სამსახურის თანამშრომლის, გივი კუბლაშვილის, კეთილმოწყობის სამსახურის უფროსად დანიშვნაა.

— გივი კუბლაშვილს გამოცდილება არა აქვს სამშენებლო მიმართულებით, მისი ერთადერთი დამსახურება ისაა, რომ წლებია, ემსახურება ივანიშვილის კომპანიას. ეკონომიკის სამსახურის უფროსად დაინიშნა ნოდარ ჭიჭინაძე, რომელიც ჯიდიეს-ზე 20/30-ის ეკონომიკური ექსპერტი გახლდათ. თუ რა რჩევებს აძლევდა ბიძინა ივანიშვილს ხსენებული ექსპერტი, საზოგადოებამ თავად იხილა, – ამბობს „მედიატორის“ თავკაცი.

მას არც ზედამხედველობის სამსახურის უფროსად წარდგენილი გიორგი ბაგრატიონის კანდიდატურა მოსწონს. ეს უკანასკნელი ამ დრომდე დასუფთავების სამსახურს ხელმძღვანელობდა.

– ის, რომ თბილისი ნაგვის ქალაქად გადაიქცა, დიდწილად გიორგი ბაგრატიონის „მენეჯერული“ თვისებების დამსახურებაა. სასაცილოა მისი ამ თანამდებობაზე წარდგენა, – აღნიშნავს ხაბეიშვილი.

ლევან ხაბეიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს უთმობს. ამ სამსახურის ყოფილი უფროსის, გიორგი არეშიძის, წინააღმდეგ სკანდალი სწორედ „მედიატორმა“ ააგორა. ამ სკანდალების გამო იყო, რომ ივანიშვილის მოთხოვნით კალაძის ცოლისძმამ „საკუთარი სურვილით“ დატოვა თანამდებობა.

წასვლისას არეშიძემ თქვა, რომ საკუთარ თავს სხვაგან ხედავდა, მაგრამ საქალაქო სამსახურზე ალბათ მაინც შეინარჩუნებს გავლენას, რადგან მის შემცვლელად მისი მეგობარია წარდგენილი.

— განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსად ირაკლი გვილავა დასახელდა. გვილავა მოქმედი საკრებულოს დეპუტატია „ქართული ოცნებიდან“. არჩევნებისას იგი ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი გახლდათ. მისი წინამორბედი კალაძის ცოლისძმა სწორედ გვილავას მოადგილე იყო პარტიული მუშაობისას, არეშიძე და გვილავა დიდი ხნის მეგობრები არიან, ისევე, როგორც ქვეყანაში კულუარული მმართველობაა მოდაში, როგორც ჩანს, მერიის სამსახურებშიც შემოვიდა. არ გამოვრიცხავთ, რომ გვილავას კანდიდატურა შეთანხმებულია კალაძის ცოლისძმასთან და რეალური მმართველი ისევ გიორგი არეშიძე იქნება, — მიაჩნია ხაბეიშვილს.

რაც შეეხება ვაკის გამგებელს და ეკოლოგიის სამსახურის უფროსს, „მედიატორის“ ხელმძღვანელი ამბობს, რომ მათზე სასაუბრო ბევრი არც არაფერია.

— იმედია, საზოგადოებას საქმით გააცნობენ თავს. ამ საკადრო ცვლილებებში ამ დროისთვის ყველაზე ლოგიკურად ნინო სულხანიშვილის კანდიდატურა გამოიყურება, — აცხადებს ხაბეიშვილი.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „ქართული ჩაი მსოფლიოში პირველი გახდება“

ლალი დავითური

**გუშინ, 18 ნოემბერს, საგამოფენო ცენტრ ექსპო-ჯორჯიას ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე-15 საერთაშორისო გამოფენა გაიხსნა.**

**აქ წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მანქანა-დანადგარები, სასათბურე მეურნეობის აღჭურვილობა, სარწყავი სისტემები, ლაბორატორიული აღჭურვილობა, კვების პროდუქტები და სხვა.**

ცალკე პავილიონი აქვს დათმობილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სადაც მოწყობილია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმოებული პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა.

კოოპერატივ „ჩაის სურნელს“ გამოფენაზე წარმოდგენილი აქვს თავისი წარმოებული ჩაი. კოოპერატივის თავმჯდომარე ნარგიზა ღვინჯილია ამბობს, რომ მათი სურვილია, გამოუშვან საუკეთესო ხარისხის ქართული ჩაი, რომელიც კონკურენციას გაუწევს ნებისმიერი ქვეყნის ჩაის.

– გვინდა აღვადგინოთ ხელით კრეფის კულტურა და პლანტაციები გამოვიყვანოთ. პლანტაციების 10 პროცენტიც არ არის დარჩენილი და რაც დარჩენილია, ისიც საცოდავად გამოიყურება, – უთხრა ნარგიზა ღვინჯილიამ „ახალ თაობას“.

***– გაქვთ იმედი, რომ ქართული ჩაის წარმოება აღდგება?***

– თუ მთავრობის მხარდაჭერა იქნება, აუცილებლად აღდგება. ქართული ჩაი ყველაზე ღირებულია. შავ ჩაის ნაზი, ფაქიზი არომატიც აქვს, რომელიც საუკეთესოა. აღიარებულია, რომ მსოფლიოში მწვანე ჩაის ნედლეული საქართველოში ყველაზე კარგია. მთავარია, ხარისხზე ვიყოთ ორიენტირებული, რასაც გავაკეთებთ, გავაკეთოთ ტექნოლოგიური პროცესების სრული დაცვით და მსოფლიოში ქართული ჩაი იქნება პირველი.



## ექსპო-ჯორჯიაში ქართული წარმოების გამოფენა-გაყიდვა გაიხსნა



ცეილონის ჩაის კი არ ვადარებ, მაგრამ ცეილონის ჩაი არის მწკლარტე და მას სჭირდება მინარევების დამატება, რომ სასიამოვნო დასალევი იყოს. ჩვენი ჩაი კი ბუნებრივად სასიამოვნო დასალევია.

ნარგიზა ღვინჯილია ამბობს, რომ მათ კოოპერატივში 11 წევრია გაერთიანებული და უმეტესობა ახალგაზრდაა.

***– რამდენს აწარმოებთ და სად ახდენთ პროდუქციის რეალიზაციას?***

– ჯერჯერობით ცოტას ვაწარმოებთ, დაახლოებით ნახევარ ტონას და ადგილზე ვახდენთ მის რეალიზაციას. წარმოების გაზრდას კი ვგეგმავთ, მაგრამ მატერიალური დახმარება გვჭირდება. ჩაის წარმოებას ბევრი ფული სჭირდება. პლანტაციები უნდა გამოიყვანო, შემდეგ ტექნოლოგიები შეიძინო და ა.შ. ამიტომ ჯერჯერობით გვიჭირს გაფართოება.

***– თქვენ გარდა თუ არიან დაინტერესებული ჩაის წარმოებით?***

– წალენჯიხაში 3 კოოპერატივია დაკავებული ჩაის წარმოებით. ჯერ ცოტა ავმუშავდეთ და შემდეგ ალბათ გავერთიანდებით.

◆ ◆ ◆

კოოპერატივი „ალვანი“ გამოფენაზე კახური ჩურჩხელით იყო წარმოდგენილი.

– ჩვენი კოოპერატივი ამ ეტაპზე მხოლოდ ჩურჩხელას აწარმოებს. ჩურჩხელა ტრადიციული მეთოდით მზადდება – ნატურალური ბადაგითა და ნიგვზით. დიდი ხანი არაა, რაც ფუნქციონირება დავიწყეთ, უკვე რამდენიმე გამოფენაში მივიღეთ მონაწილეობა და ჩვენმა პროდუქციამ, კახურმა ჩურჩხელამ, დიდი მოწონება დაიმსახურა, – გვითხრა კოოპერატივის თავმჯდომარემ ლია პაპიაშვილმა.

***– გამოფენებზე მონაწილეობა თუ ზრდის თქვენს ცნობადობას და იზრდება თუ არა ინტერესი თქვენი პროდუქციის მიმართ?***

– კი, ამ ზაფხულში ბრიუსელში მივიღეთ მონაწილეობა ქართული პროდუქციის გამოფენაში და ევროპელებს იმდენად მოეწონათ კახური ჩურჩხელა, რომ ევროპიდან შეკვეთები მივიღეთ, მაგრამ რადგან ჩვენ წარმოება არ გვაქვს, ამ შეკვეთას ვერ ვასრულებთ. სურვილი გვაქვს წარმოების გაზრდის, იმედია, შევძლებთ წარმოების გაფართოებას და პროდუქციის რაოდენობის გაზრდას.

◆ ◆ ◆

შპს „ევროკაპიტალინვესტს“ გამოფენაზე წარმოდგენილი ჰქონდა სხვადასხვა დასახელების, ვაშლის, ქლიავის, კივის, შინდის, მანდარინის და ა.შ. ჯემები. მისი დამფუძნებლის, ლევან ქიძინიძის, განცხადებით, „ევროკაპიტალინვესტი“ პირველად იღებს გამოფენაში მონაწილეობას, რადგან ჯერ მხოლოდ 9 თვეა, რაც ფუნქციონირება დაიწყო. ხილის გადამამუშავებელი ქარხანა ახალი, თანამედროვე გერმანული მესამე თაობის ტექნოლოგიებით არის აღჭურვილი.

– ჩვენ ვაწარმოებთ ეკოლოგიურად სუფთა ბიოლოგიურ, ევროსტანდარტულ პროდუქტებს, ჯემებს, წვენებს და ა.შ. გამოვრიცხეთ წარმოებიდან დანამატები და იმდენად სუფთაა ჩვენი ნაწარმი, რომ იგი ბავშვებისთვისაც შეიძლება გამოვიყენოთ, – განაცხადა ლევან ქიძინიძემ.

***– სად ახდენთ რეალიზაციას?***

– დადებული გვაქვს ხელშეკრულება რუსეთთან და ყაზახეთთან. საქართველოში უკვე დავდეთ ხელშეკრულება სხვადასხვა სუპერმარკეტებთან.

◆ ◆ ◆

კოოპერატივი „ქართლის თაფლი“ აწარმოებს თაფლს და სანთელს, ფუტკრის დედას.

– ჩვენი კოოპერატივი 2 წელია, რაც შეიქმნა. ჩვენ ვართ სელექციონერები. ვაწარმოებთ არა მარტო თაფლს და სანთელს, არამედ გამოგვყავს ფუტკრის დედა.

ქართული ფუტკრის დედა გამოირჩევა ყველაზე გრძელი ნესტრით, ამიტომ მასზე მოთხოვნა მაღალია. 1 ცალ ფუტკრის დედას 25 ლარად ვყიდით. 7-8 ტონა თაფლს ვაწარმოებთ, მაგრამ რეალიზაცია გვიჭირს, – განაცხადა კოოპერატივის თავმჯდომარემ რაულ მამედოვმა.

მისი თქმით, სახელმწიფო დაინტერესდა დარგით, რომელიც საქართველოში ყველგან შეიძლება განვითარდეს.

გამოფენა საკმაოდ მასშტაბურია და იგი მე-5, მე-6, მე-11 პავილიონებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებს მოიცავს.

გამოფენა 20 ნოემბრამდე გაგრძელდება.

# ქართველები საფრანგეთში მოგზაურობისგან თავს იკავებენ

პარიზში გასულ კვირას მომხდარი ტერაქტის შემდეგ, ზოგიერთმა საერთაშორისო ავიაკომპანიამ საფრანგეთის დედაქალაქის მიმართულებით ფრენები შეაჩერა.

მართალია, 14 ნოემბრიდან პარიზში ფრენები ავიაკომპანიებმა ჩვეულ რეჟიმში გააგრძელეს, მაგრამ პარიზში მიმდინარე მოვლენების ფონზე მკვეთრად შემცირდა ტურისტების რაოდენობა. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველო აღმოჩნდა.

ქართული ტუროპერატორები აცხადებენ, რომ პარიზის ტერაქტის შემდეგ საფრანგეთის მიმართულებით არც ერთი ჯავშანი არ გაკეთებულა. თუმცა, ჯერჯერობით, მომხმარებლებს დაგეგმილი ტურების გაუქმების მოთხოვნით მათთვის არ მიუმართავთ. ტურისტული კომპანიები ამ ეტაპზე ვერ აკეთებენ გრძელვადიან პროგნოზს, თუ რამდენად იმოქმედებს მათ ბიზნესზე არსებული არასტაბილური ვითარება და იმედოვნებენ, რომ სიტუაცია მალე დასტაბილურდება.

ტური.გე-ს გაყიდვების მენეჯერი ნუცა ჯორბენაძე ბიპიენთან საუბარში აცხადებს, რომ ამ ეტაპზე, საფრანგეთის მიმართულებით კომპანიას უკვე გაცემული აქვს დეკემბრის დაახლოებით 10 ჯავშანი და არც ერთ მომხმარებელს არ მოუთხოვია მათი გაუქმება. თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ბოლო ერთი კვირის მანძილზე ახალი ჯავშანი არ გაკეთებულა.

– ამ ფაქტს ტერაქტს ვუკავშირებ. მომხმარებელი თავს იკავებს საფრანგეთში მოგზაურობისგან. გასულ წლებში, ამ დროისთვის უკვე დაგეგმილი ჰქონდათ საშობაო ტურები პარიზსა და დისნეილენდში, თუმცა დღეს მოთხოვნა საერთოდ არ გვაქვს. რაც შეეხება ევროპის სხვა ქვეყნებს, კვლავ პოპულარულია ესპანეთი, უნგრეთი, ავსტრია, ჩეხეთი. აღნიშნული მიმართულებებით ჯავშნის რაოდენობის შემცირება არ შეინიშნება, – ამბობს ნუცა ჯორბენაძე.




„ინტერკონტინენტალის“ გაყიდვების ოფიცრის ნიკოლოზ როყვას ინფორმაციით, კომპანია ამ ეტაპზე არ ფლობს ზუსტ სტატისტიკურ მონაცემებს, თუ რამდენად აისახა მათ შემოსავალზე ბოლოდროინდელი მოვლენები, მაგრამ აცხადებს, რომ თუ სიტუაცია მალე არ დარეგულირდება, ეს ტურისტულ ბიზნესს საგრძნობლად დააზარალებს.

– იმედი მაქვს, მდგომარეობა მალე გამოსწორდება და არსებული ვითარება დასტაბილურდება. ამ ეტაპზე მომხმარებელს აქვს შიში, რის გამოც მოგზაურობისგან თავს იკავებს. ჩვენც საფრანგეთის მიმართულებით დროებით რაიმე სიახლის დაგეგმვას არ ვაპირებთ. რეისები არცერთი ქვეყნიდან არ შეფერხებულა. საფრანგეთის მიმართულებით ტურების ფასების დაკლებაც შესაძლოა განვიხილოთ, მაგრამ ეს დამოკიდებულია ორ ფაქტორზე: რას შემოგვთავაზებენ ჩვენი პარტნიორები და რამდენად სწრაფად დარეგულირდება არსებული არასტაბილური სიტუაცია, – აღნიშნა ნიკოლოზ როყვამ.

◆ ◆ ◆

ტურიზმის ასოციაციაში აცხადებენ, რომ რომელიმე ტუროპერატორის მხრიდან ჯავშნის გაუქმების ინფორმაცია დეპარტამენტში არ შესულა.

ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე ნატა კვაჭანტირაძე აღნიშნავს, რომ როცა ქვეყანაში ასეთი არასტაბილური მდგომარეობაა, ტუროპერატორები ვალდებულნი არიან, მომხმარებლები ჩააყენონ საქმის კურსში.

– პარიზი არ არის ის მიმართულება, სადაც ამ პერიოდში მასობრივადაა ტურისტების გადინება, ასე რომ, თავისუფლად შეიძლება მისი დროებითი ჩანაცვლება და არ მგონია, ტუროპერატორების ბიზნესს მომხდარმა ფაქტმა რაიმე სერიოზული ზიანი მიაყენოს, – აღნიშნა ნატა კვაჭანტირაძემ.

ქრისტინე გამთენაძე, ბიპიენი

# თინა ხიდაშელი: „ვაპირებ, ჯარს მივცე პრემიები“

თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი აპირებს, ჯარს მისცეს პრემიები.



– ჯართან დაკავშირებით მე მინდა გითხრათ, რომ სიურპრიზი არ იყოს მერე, ვაპირებ, ჯარს მივცე პრემიები, ოღონდ საქართველოს შეიარაღებული ძალების მხოლოდ და მხოლოდ ვიცე-პოლკოვნიკამდე რანგის მატარებელ სამხედრო მოსამსახურეებს. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ საქართველოში ამაზე პროტესტი არ იქნება, – განაცხადა ხიდაშელმა.

თავდაცვის მინისტრმა პრემიებისა და დანამატების შესახებ აუდიტის სამსახურის დასკვნის შესახებ დასმულ კითხვასაც უპასუხა და განაცხადა, რომ ამ ციფრებს არ იცნობს.

– რამე კომენტარი რომ გავაკეთო ამაზე, უნდა ვიცოდე, რაზე ვსაუბრობთ. მე ერთი რამე, რაც შემიძლია გითხრათ, ყველა უწყებაში ასეა, რომ ხელფასი, რომელსაც იღებენ საჯარო მოხელეები, ორი ნაწილისგან შედგება. მე არ ვიცი, ეს თავის დროზე რატომ გააკეთეს, იმათ, ვინც გააკეთეს, წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მაგრამ ასეა. მე პირადად მომხრე ვარ, რომ ეს გაერთიანდეს, ერთი სახელი დაერქვას და აღარ იყოს გაყოფილი, – განაცხადა ხიდაშელმა.

# ლაშა თორდია: „სახელფასო დანამატი 45 მილიონით გაიზარდა“

## „პრემიის სახით გაცემული ხელფასი 31 მილიონი ლარით შემცირდა“



გენერალური აუდიტორი ლაშა თორდია ადასტურებს, რომ სახელმწიფო უწყებებში პრემიების გაცემა სახელფასო დანამატებით შეიცვალა.

თორდიას შეფასებით, პრემიების შეზღუდვასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ მიღებულმა დადგენილებამ საკითხის დარეგულირება ვერ უზრუნველყო.

როგორც გენერალურმა აუდიტორმა გადაცემა „არჩევანში“ განაცხადა, რეგიონული განვითარების სამინისტროში დანამატების გაცემის ოდენობა 69%-ით გაიზარდა, იუსტიციის სამინისტროში – 206%-ით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში – 412%-ით, კულტურის სამინისტროში – 1509%-ით, დევნილთა სამინისტროში – 35%-ით, ჯანდაცვის სამინისტროში – 270%-ით.

მისივე თქმით, თანხობრივ გამოხატულებაში, პრემიის სახით გაცემული ხელფასი 31 მილიონი ლარით შემცირდა, ხოლო სახელფასო დანამატი 45 მილიონით გაიზარდა.

– სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ეწინააღმდეგება იმას, რომ ქვეყანაში პრემია ან დანამატი არსებობდეს, მაგრამ აღნიშნული ფულადი განაცემები უნდა იყოს დარეგულირებული ისე, როგორც არის მოცემული შესაბამის ბრძანებასაი და დადგენილებში, ანუ ადამიანები უნდა იღებდნენ პრემიებს, მაგრამ ყველა პრემია უნდა იყოს დასაბუთებული, რისთვის, რა გასამრჯელოსთვის აიღო საჯარო მოხელემ აღნიშნული პრემია. ასევეა დანამატის საკითხიც – არ შეიძლება წინასწარ, ერთი წლით ადრე განსაზღვროს რომელიმე თანამდებობის პირმა ის, რომ საჯარო პირმა ყოველთვიურად სახელფასო დანამატი უნდა აიღოს, – განაცხადა ლაშა თორდიამ.

ბიპიენი

# საქართველოში ინვესტიციების შესუსტება შეინიშნება

საერთაშორისო სავაჭრო პალატის გენერალური მდივნის ზურაბ კაჭკაჭიშვილის თქმით, საქართველოდან ინვესტორების გადინება იმდენად არ შეინიშნება, რამდენადაც ინვესტიციების შესუსტება და მოდუნება.

– თუ ინვესტორს არ აქვს ნათელი სურათი იმისა, რა ელის მას უახლოეს 1-2 წელიწადში, მისთვის ძნელი იქნება გადაწყვეტილების მიღება, რომ საქართველოში თანხა ჩადოს. შესაბამისად, პირველ რიგში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, შესაძლებლობა განვჭვრიტოთ, თუ როგორი იქნება ჩვენი ბაზარი და ბიზნესგარემო უახლოეს წლებში, ამაში ჩვენ უნდა დაგვეხმაროს საქართველოს მთავრობა და მისი გაუმჯობესებული კომუნიკაცია, – განუცხადა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა ბიპიენს.

მისივე თქმით, ბიზნესისა და მთავრობის შეხვედრები მნიშვნელოვანია. ამასთან, საერთაშორისო სავაჭრო პალატის გენერალური მდივანი მიესალმება პრემიერ-მინისტრთან ინვესტორთა საბჭოს შექმნას.

– ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს ბაზარს მიმზიდველობა საერთოდ არ აქვს. ვინც უფრო რისკიანია, შეიძლება დღეს არსებულ ვითარებაშიც შემოვიდეს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ჩვენ ველოდოთ მასობრივ ინვესტირებას საქართველოს ეკონომიკაში, – განაცხადა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა.



ის მიიჩნევს, რომ კანონი აუცილებლად უნდა იყოს ბიზნესისადმი მეგობრული.

– ნებისმიერი კანონი, რომელიც ასე თუ ისე ბიზნესს ეხება, უნდა იყოს იმ თვალსაზრისით მიღებული, რომ მან ხელი შეუწყოს, ან არ შეუშალოს მაინც ბიზნესის განვითარებას, – განაცხადა კაჭკაჭიშვილმა.

ნათია რუხაძე, ბიპიენი

# პეტრე მამრაძე: „მუსლიმანები ევროპას ნებაყოფლობით იკავებენ“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე აცხადებს, რომ დღეს მუსლიმანური მოსახლეობის მიერ ევროპის ნებაყოფლობითი დაკავების პროცესი მიმდინარეობს. ევროპაში მკვიდრი მოსახლეობის ოდენობა სწრაფად მცირდება, რადგან შობადობა დაბალია.

– 30 წლის შემდეგ ევროპის მოსახლეობის შემადგენლობა მთლიანად შეიცვლება, ვინაიდან არსებული შემადგენლობა დაბერებულია. იმდენად ცოტაა იმ ქალების რაოდენობა, ვისაც შეუძლია შვას ბავშვები, რომ 30 წლიან პროგნოზს წყალი არ გაუვა. ამასობაში მკვიდრი ევროპელები უმცირესობაში დარჩებიან, – აცხადებს პეტრე მამრაძე.

***– ახლა მუსლიმანების მხრიდან ევროპის დემოგრაფიული დაპყრობა ხდება?***

– ეს დემოგრაფიული დაპყრობა კი არა, ნებაყოფლობითი პროცესია.

***– ევროპელები თავიანთი სურვილით მიდიან ამ დათმობაზე?***

– როდესაც მუშახელი საერთოდ არ არის, პროდუქციას ვინ შექმნის? დიკ ჩეინიმ, როდესაც შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი იყო, თქვა, დაბერებულ ევროპას ალარაფერი შეუძლიაო. მერე ბოდიში მოიხადა, რადგან სკანდალი ატყდა. ამასობაში შობადობის ბუმია ისლამურ ქვეყნებში და ობიექტური მიზეზების გამო, თანდათან აღზევდა ისლამოფაშიზმი.

***– ჩვენთან ამბობენ, რომ ისლამურ სახელმწიფოში ახალგაზრდები ეკონომიკური პრობლემების გამო მიდიან და ამას არ უკავშირებენ რელიგიურ ფანატიზმს.***

– ეს სხვა პრობლემაა. საქართველოდან ვინც კი წასულა საბრძოლველად სადმე, მათ შორის სირიაში, ძირითადად მიდიან იმის გამო, რომ აქ სამუშაო ადგილები არ არის.

***– ისლამოფაშიზმის წარმოშობის მიზეზი რა არის?***

– ისლამოფაშიზმი იმის გამო წარმოიშვა, რომ ზოგიერთ ისლამურ ქვეყანაში მოდერნიზაციის პროექტი ჩავარდა და ამან მოსახლეობაში დიდი განწბილება გამოიწვია.

***– ისლამოფაშიზმის და ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენლებისთვის ცნობილია ევროპის დემოგრაფიული მდგომარეობა?***

– რა თქმა უნდა.

***– ანუ შეგნებულად ხდება ევროპაში ემიგრირება?***




– ევროპაში მიდიან, რადგან იქ გამზადებულია სამუშაო ადგილები თავისი სოციალური დაცვითა და შემწეობით.

***– ევროპა ლიბერალობის გამო ვერ ამბობს დევნილების მიღებაზე უარს.***

– ლიბერალობის კი არა, ეკონომიკის გამო ვერ ამბობს უარს. მუშახელი სჭირდება. ახლაც, ამ გაჭირვების ჟამსაც, ვერ ამბობენ უარს მათ მიღებაზე. ევროპის რამდენიმე ლიდერმა ეს დაადასტურა.

***– რა ქმნის ისლამოფაშისტურ ფსიქოლოგიას?***

– ზუსტად იგივე სიტუაცია იყო გერმანიაში, როდესაც წაგებულმა ომმა გერმანელ ხალხში გამოიწვია იმედგაცრუება, როდესაც თავისი ათეული წლის, პატიოსანი შრომის დანაზოგი რამდენიმე დღეში დაკარგეს. ეს იყო დიდი გაცრუების შეგრძნება და ეს მტერს დააბრალეს. ამისთვის კი ებრაელები გამოიძებნენ.

ანალოგიურად, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-60-იან წლებში, რიგ მუსლიმანურ ქვეყნებში ჩავარდა მოდერნიზაციის პროექტები. თავიდან იყო პრივატიზაციის გეგმა. ამბობდნენ, რომ სულ მალე მიაღწევდნენ იმ



დონეს, რაც დასავლეთში იყო, მაგრამ ეს ვერ განხორციელდა. მოსახლეობაში გაჩნდა იმედგაცრუება და დაბრუნება ისლამური ფასეულობებისკენ.

***– ხომ არ სჯობდა, დასავლეთი და ევროპა შეშვებოდნენ მუსლიმანურ ქვეყნებს და იმ ხალხს თავისი გზა თვითონ მოეძებნა? გარედან თავსმოხვეულმა რევოლუციებმა შედეგი აშკარად ვერ გამოიღო***

– პირიქით, ისინი სთხოვდნენ დახმარებას, ესენი კი ძალიან დიდხანს უარს ეუბნებოდნენ.

***– ასადის რეჟიმი არ ახერხებდა რადიკალი ისლამისტების შეკავებას?***

– არავითარ შემთხვევაში. ეს მორიგი მითია. ასადის რეჟიმი იყო სისხლიანი დიქტატურა. როდესაც ამ ქვეყანაში გაჩნდა სრულიად კორექტული ზომიერი ოპოზიცია, ასადმა ნაცვლად დიალოგისა, მასშტაბური სისხლიანი აქციებით უპასუხა, დაიწყო ადამიანების ხოცვა. ასადმა ხალხი რომ დახოცა და დილაობით გვამები ქუჩაში ეყარა, ზომიერი ოპოზიცია გაქრა და გაძლიერდნენ ისლამისტი რადიკალები.

# რუსული თვითმფრინავი ალუმინის ქილით ააფეთქეს

## ლავროვი: „ეს რუსეთზე თავდასხმის ტოლფასია“




ფრანგული მედიის ცნობით, ისლამურმა სახელმწიფომ რუსული სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდების დამატებითი დეტალები გაამხილა.

როგორც ტერორისტები აცხადებენ, ასაფეთქებელი მოწყობილობა მათ ალუმინის ქილაში მოათავსეს. მისი თვითმფრინავში ატანა კი შარმ ალ-შეიხის აეროპორტის დაცვის ხარვეზებით სარგებლობის შედეგად შეძლეს.

ტერორისტებმა ასაფეთქებელი მოწყობილობის ფოტოც გამოაქვეყნეს.

ამის შესახებ დეილი მეილმა ჯიჰადისტების ყოველთვიურ ჟურნალზე დაყრდნობით დაწერა, სადაც ფოტო შემდეგი წარწერით გამოქვეყნდა: „ექსკლუზივი: ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომლის მეშვეობით რუსული ლაინერი აფეთქდა.“

ფოტოს ნამდვილობა ჯერჯერობით დადასტურებული არ არის.

* * *

შეგახსენებთ, რუსული ავიაკომპანია „კოგალიმავიას“ ლაინერი ეგვიპტის ტერიტორიაზე, სინაის ნახევარკუნძულზე 31 ოქტომბერს ჩამოვარდა.

თვითმფრინავი აფრენიდან დაახლოებით 23 წუთში რადარებიდან გაუჩინარდა. ლაინერი შარმ ალ-შეიხი – სანკტ-პეტერბურგის რეისს ასრულებდა.

ავიაკატასტროფისას ბორტზე 224 ადამიანი – 217 მგზავრი, მათ შორის 17 ბავშვი და ეკიპაჟის 7 წევრი იმყოფებოდა. ყველა მათგანი დაიღუპა.

17 ნოემბერს რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურმა სამგზავრო კატასტროფას ტერაქტის კვალიფიკაცია მიანიჭა.

გუშინ, 18 ნოემბერს კი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსული თვითმფრინავის აფეთქება რუსეთზე თავდასხმის ტოლფასია.

– ჩვენ საკუთარ თავს ყველა საშუალებით დავიცავთ, – განაცხადა ლავროვმა.

# გვარამია: „გვისმენენ მე, ბაქრაძეს, ალასანიას და ბოკერიას“

ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას თქმით, მის მოსმენასა და თვალთვალზე სასამართლომ სანქცია გასცა.

გვარამიას განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს, იმისთვის, რომ ვაიბერის მეშვეობით დავით ბაქრაძის, ირაკლი ალასანიას, გიგა ბოკერიას მოსმენა განახორციელოს:

– მოკლედ, მეგობრებო, უტყუარად შემიძლია გითხრათ, რომ რამდენიმე დღის წინ თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა სუსის და პროკურატურის შუამდგომლობა და გასცა სანქცია ჩემს მოსმენასა და თვალთვალზე ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით, მათ შორის, ვაიბერით. ასე რომ, თუ ისეთი რამის თქმა მოგინდებათ ჩემთვის, რაც არ გინდათ, რომ ხელისუფლებამ გაიგოს, ყურში მითხარით.

**პს.** ასევე ზუსტად შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს ხელისუფლება თანამშრომლობს რუსულ სპეცსამსახურებთან რამდენიმე ადამიანის ვაიბერის მოსასმენად, მათ შორის, დავით ბაქრაძის, ირაკლი ალასანიას, გიგა ბოკერიას. ცხადია, ჩემიც.

**პპს.** თუ არ დაგეზარებათ, დააშეარეთ, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიგოს. მადლობა, – წერს ნიკა გვარამია ფეისბუკზე.

გუშინ საღამოს გვარამიას ამ განცხადებას თავისუფალი დემოკრატები გამოეხმაურნენ.

– არ გვაქვს საშუალება გადავამოწმოთ ამგვარი ინფორმაცია, ამიტომ სპეკულაციებს გვარამიას ნათქვამის საფუძველზე ვერ დავიწყებთ, – უთხრეს ნიუზპორტს თავისუფალმა დემოკრატებმა.

მათი თქმით, ალასანიას ტელეფონის მოსმენა



რუსეთის სპეცსამსახურებმა დაიწყეს 2003 წელს, როდესაც ის ხელმძღვანელობდა წარმატებულ ანტიტერორისტულ ოპერაციას პანკისში. ასევე გაგრძელდა ტელეფონის მოსმენა ნიუ იორკში, როდესაც ალასანიას და მის გუნდს გაჰქონდა პირველი დევნილების შესახებ რეზოლუცია გაეროს გენერალურ ასამბლეაზე.

– ასევე დანამდვილებით ვიცით, რომ ალასანიას ტელეფონის მოსმენას, ფსბ-ს მსგავსად, შეუერთდა სააკაშვილის რეჟიმი 2006 წლიდან, – განაცხადეს თავისუფალმა დემოკრატებმა.

მათ ხაზი გაუსვეს, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ანალოგიური გზა აირჩია, რაც მოსმენებთან დაკავშირებით კანონის მიღების პროცესშიც გამოიხატა.

– ეს ჩვენთვის სიახლე არ არის და ვპირდებით საზოგადოებას, რომ პოლიტიკური ოპონენტების უკანონო მოსმენებს დავასრულებთ 2016 წელს, – განაცხადეს თავისუფალი დემოკრატების პრესსამსახურში.

ეკონომიკა

# 1 იანვრიდან თამბაქოს აქციზზე გადასახადის გაზრდა იგეგმება



„იმპერიალ ტობაკოს“ კორპორატიული დირექტორი ირაკლი ნადარეიშვილი იმ პრობლემაზე საუბრობს, რომელიც საქართველოში თამბაქოს ინდუსტრიაში არსებობს.

როგორც ნადარეიშვილმა აღნიშნა, აუცილებელია კომუნიკაცია ბიზნესსა და სახელმწიფო სექტორს შორის.

– მე წარმოვადგენ ბრიტანულ თამბაქოს კომპანიას „იმპერიალ ტობაკოს“. თამბაქოს ინდუსტრია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი საქართველოს ბიუჯეტში. ჩვენ დაახლოებით 5%-დან 6%-მდე საბიუჯეტო შემოსავლების გენერირებას ვახდენთ. როდესაც ვლაპარაკობ ჩვენს პრობლემატიკაზე, აქ არის სააქციზო პოლიტიკის გაუმჭვირვალობა და სახელმწიფოს მხრიდან გრძელვადიანი ხედვის არქონა, რაც ჩვენ ხელს არ გვიწყობს იმაში, რომ ქვეყანაში ინვესტირების მიმართულებით გრძელვადიანი გეგმები დავსახოთ, – განაცხადა ნადარეიშვილმა.

მისი თქმით, აქციზის გადასახადის გაზრდა იგეგმება უკვე 1 იანვრიდან, ანუ, დაახლოებით 5-6 კვირაში.

– ჩვენ არ გვაქვს ოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა განაკვეთებით მოხდება აქციზის გაზრდა, რა იქნება მისი ზრდის სტრუქტურა. გარდა ამისა, წლებია უკვე ვითხოვთ, რომ სახელმწიფომ ბიზნესთან ერთად შეიმუშავოს თამბაქოს აქციზის მინუმიმ 3-წლიანი განვითარების გეგმა, რაც მოგვცემს საშუალებას, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში დავგეგმოთ ჩვენი საქმიანობა, – განაცხადა ნადარეიშვილმა.

კითხვას, არის თუ არა კომუნიკაცია ხელისუფლებასთან, ნადარეიშვილი პასუხობს, რომ კომუნიკაცია არის, თუმცა ინფორმაცია არ არის.

– ჩვენ ვხვდებით ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს, თუმცა ინფორმაციას ვიღებთ ძალიან გვიან, ძალიან მოახლოებულ პერიოდში, როდესაც გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. ჩვენ თითქმის არ ვიღებთ არანაირ მონაწილეობას კონსულტაციებში. ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილ ფაქტს და საკმაოდ მოკლევადიან პერიოდში მის იმპლემენტაციამდე, – განაცხადა ირაკლი ნადარეიშვილმა.

**ნათია რუხაძე, ბიპიენი**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# რუსებმა სირიას ფრთოსანი რაკეტები დაუშინეს



რუსული სტრატეგიული ბომბდამშენები სირიას უკვე ფრთოსანი რაკეტებით ბომბავენ. ნგრევა და მსხვერპლი უზარმაზარია. მიუხედავად ამისა, პუტინმა თავისი სამხედროების ქმედება მოიწონა და დაბომბვების კიდევ უფრო გაძლიერება ბრძანა.

– ჩვენ ტერორისტებს ყველგან მივაგნებთ და გავანადგურებთ, – თქვა რუსეთის პრეზიდენტმა.

# იორდანიის მეფე ისლამისტების წინააღმდეგ



იორდანიის მეფე აბდალა მეორემ ისლამური სახელმწიფოს სასწრაფო ლიკვიდაცია მოითხოვა. მან თქვა, რომ დადგა დრო, როცა ექსტრემისტების წინააღმდეგ მთელი მსოფლიო, მათ შორის მუსლიმანური და ქრისტიანული სამყაროები, უნდა გაერთიანდნენ.

– ფუნდამენტალისტი ტერორისტები ყველასთვის ერთნაირ საფრთხეს წარმოადგენენ, – აღნიშნა მისმა უდიდებულესობამ.

აბდალამ თქვა, რომ იორდანია მზადაა, ანტიტერორისტულ კოალიციას შეუერთდეს და ტერორისტებთან ბრძოლაში აქტიურად ჩაებას.



# ცსს-ს შეფი რუსეთთან ინფორმაციის გაცვლის მომხრეა

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფი ჯონ ბრენანი თვლის, რომ მომავალში ტერაქტების თავიდან აცილების მიზნით, ყველა ქვეყნის სპეცსამსახურებს შორის თანამშრომლობა უნდა გაღრმავდეს.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ინფორმაციის გაცვლას ენიჭება. ბრენანმა აღნიშნა, რომ რუსულ სპეცსამსახურებთან დიალოგისა და ინფორმაციის გაცვლის მომხრეა.

– უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ჩვენ რუსეთთან დიალოგს გულმოდგინედ ვცდილობდით. ჩვენი ბრალი არაა, რომ სასურველ შედეგებს ვერ მივაღწიეთ. ეს რუსების გამო მოხდა, – თქვა ბრენანმა.

# რუსეთი შესაძლოა ევროპის გაზის ბაზრიდან გააძევონ




მალე ბალტიის რესპუბლიკები ამერიკულ გაზს მიიღებენ. ეს ერთგვარი სიმბოლური ჟესტია. ბალტიის ქვეყნები აქამდე რუსულ გაზზე იყვნენ დამოკიდებულნი, მაგრამ ამისგან თავის დაღწევას გულმოდგინედ ცდილობდნენ.

შემდეგში ამერიკული გაზი ნელ-ნელა ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც მიეწოდება.

აღნიშნული პროცესი ევროპაში რუსული გაზპრომის პოზიციებს შეარყევს.

# შტაინმაიერი: „გერმანია სირიის დაბომბვაში მონაწილეობას არ მიიღებს“




გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა სირიის დაბომბვაში მონაწილეობას არ მიიღებს.

– ჩვენ ეს არაფერს არ მოგვცემს! – განაცხადა მან.

შტაინმაიერის აზრით, დაბომბვებზე გაცილებით ეფექტური გამოდგა ქურთული ფორმირებების მოქმედება, რომლებმაც ისლამურ სახელმწიფოს დიდი ზიანი მიაყენეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## სამართალი

# შსს-მ დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძიებო ღონისძიებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გურამ მ. ნარკოდანაშაულის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, 5 შეკვრად დაფასოებული, ჰეროინის შემცველი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს.

ნარკოლოგიური შემოწმებისას გურამ მ-ს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

# შს მინისტრმა უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მუშაობაში მიიღო მონაწილეობა



შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს სხდომას დაესწრო, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობდა.

საბჭოს წევრებმა, მსოფლიოსა და რეგიონში შექმნილი ახალი ვითარების კონტექსტში, ქვეყანაში არსებული უსაფრთხოების საკითხებზე იმსჯელეს, უსაფრთხოების თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული პრევენციული ღონისძიებების კიდევ უფრო გაძლიერებასა და უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღებაზე ისაუბრეს.

ასევე დაიგეგმა სასაზღვრო რეჟიმის და სტრატეგიული ობიექტების კონტროლის გამკაცრების ღონისძიებები.

**გიორგი მღებრიშვილი:**

– მე ჩემი მიმართულებით შემიძლია გითხრათ, რომ კონკრეტულად გამკაცრდება სასაზღვრო რეჟიმი, როგორც გამშვებ პუნქტებში, ასევე მწვანე ზოლზე, აგრეთვე გაძლიერდება საპოლიციო კონტროლი.

ჩვენ მუდმივად კომუნიკაციაში ვიქნებით ჩვენს პარტნიორ მეგობარ ქვეყნებთან, სამართალდამცავ უწყებებთან.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: საგარეო საქმეთა მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი, თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი მინდია ჯანელიძე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი ვახტანგ გომელაური, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელი ანზორ ჩუბინიძე, დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი დავით სუჯაშვილი და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი.

## სპორტი

# რაგბის ლეგენდა ჯონა ლომუ 40 წლის ასაკში გარდაიცვალა



ახალზელანდიელი მორაგბე ჯონა ლომუ 40 წლის ასაკში გარდაიცვალა.

1998 წელს მას იშვიათი დაავადება, თირკმლის ნეფროტერული სინდრომი დაუდგინეს, რის გამოც ლომუს სპორტული კარიერა საფრთხის ქვეშ დადგა, თუმცა ახალზელანდიელმა მორაგბემ თამაშს თავი არ დაანება.

2004 წელს მას თირკმლის გადანერგვის ოპერაცია ჩაუტარდა, დონორი მისი ფანი იყო. გადანერგილმა თირკმელმა ფუნქციონირება 2011 წელს შეწყვიტა, რის შემდეგაც ლომუს ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა.

ჯონა ლომუმ ეროვნულ ნაკრებში 63 შეხვედრა ჩაატარა.

1995 წელს პირველ მსოფლიოს თასზე 5 ჩატარებულ შეხვედრაში მან 7 ლელო დადო, აქედან 4 – ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ.

2007 წელს ლომუ რაგბის დიდების საერთაშორისო დარბაზში შეიყვანეს.

# მარიო ბალოტელი კიდევ 3 თვე იუქმებს



მარიო ბალოტელის უსიამოვნებები არ მთავრდება. მარიომ სექტემბრის ბოლოს მიიღო ტრავმა და ჯერჯერობით ისევ მილანის ლაზარეთში იმყოფება. უფრო მეტიც, მას ოპერაცია ესაჭიროება, რის შემდეგაც მინიმუმ 3 თვე უნდა გაიაროს სარეაბილიტაციო და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს მოედანზე დაბრუნებას.

ბალოტელი მილანში ზაფხულში დაბრუნდა და როსონერის შემადგენლობაში რამდენიმე შეხვედრის ჩატარება და ერთი გოლის გატანა მოასწრო.

**ბ.გ.**


# განცხადებები

## ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

## მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

## იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

# წყალბურთელებმა მეორე მატჩიც წააგეს



**საბერძნეთი – საქართველო 18:10**

(7:2, 5:3, 3:3, 3:2)

წყალბურთის მსოფლიო ლიგაში მოთამაშე საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მე-2 ტურის მატჩი გამართა და ისევ დამარცხდა – ამჯერად ათენში საბერძნეთთან – 10:18.

საბერძნეთის წყალბურთელთა ნაკრებთან მარცხი გასაკვირიც არ არის, რადგან ელადელები მსოფლიო ჩემპიონატის ორგზის ბრინჯაოს, მსოფლიო ლიგის სამგზის ბრინჯაოს და მსოფლიო თასის ორგზის ვერცხლის პრიზიორები არიან.

მატჩის ბედი პირველივე მეოთხედში გადაწყდა, რომელიც ბერძნებმა 7:2 მოიგეს, დარჩენილ დროში კი ბერძნებმა მშვიდად მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე.

საქართველოს ნაკრების რიგებში ყველაზე შედეგიანი დამირ ცრეპულია გახლდათ 3 გოლით, მარკო ელეზმა და ზურაბ რურუამ თავი ორ-ორჯერ გამოიჩინეს, თითო ბურთი კი მარკო ელაჩამ, მიხეილ ხვედელიანმა და მიხეილ ბალათურიამ გაიტანეს.

საქართველოს ნაკრებმა ბერძნებთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: შუბლაძე, ქავთარაძე, ცრეპულია (3), ელეზი (2), ბითაძე, ელაჩა (1), ხვედელიანი (1), ბალათურია (1), რურუა (2), გეგელაშვილი, ჯახაია, იმნაიშვილი, სტრუიჩი.

ამავე ტურში უნგრეთმა შინ მშვიდად მოუგო რუმინეთს – 16:8

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.საბერძნეთი | 2 | 2 | 0 | 35:13 | 6 |
| 2.უნგრეთი | 2 | 2 | 0 | 33:18 | 6 |
| 3.საქართველო | 2 | 0 | 2 | 20:35 | 0 |
| 4.რუმინეთი | 2 | 0 | 2 | 11:33 | 0 |

მომდევნო ტური 1 დეკემბერს გაიმართება და ქართველებსაც პირველი საშინაო მატჩი ელით რუმინელებთან, რომლებსაც, ჩვენების მსგავსად, 2 მატჩი აქვთ წაგებული.

ამავე დღეს საბერძნეთი უნგრეთს უმასპინძლებს.

# ევროპა სრულად დაკომპლექტდა




**დანია – შვედეთი 2:2**

0:1, 0:2 იბრაჰიმოვიჩი (19, 76), 1:2 ი.პოულსენი (81), 2:2 ვესტერგაარდი (90)

**დანია:** შმეიხელი, იაკობსენი, კიაერი, აგერი, დიურმისი (ვესტერგაარდი 84), ჰოიბერგი, დელეინი (კრონდელი 46), ი.პოულსენი, ერიკსენი, იორგენსენი, ბენდტნერი (რასმუსენი 60)

**შვედეთი:** ისაკსონი, ლუსტიგი, იოჰანსონი, გრანკვისტი, ბენგტსონი (ოლსენი 86), ლარსონი (ჰილემარკი 81), ლევიცკი, კალსტრიომი (სვენსონი 69), ფორსბერგი, ბერგი, იბრაჰიმოვიჩი

მეორე მატჩის სცენარიც ძალიან წააგავდა პირველისას. მართალია, დანიელები საშინაო მატჩში უფრო ცოცხლად გამოიყურებოდნენ, თუმცა მთლიანად მატჩს მაინც შვედები აკონტროლებდნენ.

მე-19 წუთზე ზლატან იბრაჰიმოვიჩის მიერ გატანილმა გოლმა კი დანიელთა შანსები მინიმუმამდე დაიყვანა.

ზლატანმა მეორე გოლი მოგვიანებით გაიტანა, როდესაც იდეალურად დაარტყა ჯარიმა. ამ დროს მატჩის დასრულებამდე 15 წუთი რჩებოდა, ხოლო დანიელები 4 გოლის გამტანებს არ ჰგავდნენ. თუმცა 2 გოლის გატანა მაინც მოახერხეს და ფრეს გამორჩნენ.

იბრაჰიმოვიჩი კარგა ხნის პაუზის შემდეგ დიდ საფეხბურთო ფორუმს დაუბრუნდა და, სავარაუდოდ, ეს მისთვის ბოლო სერიოზული ტურნირი იქნება, დანია კი ისევ ტელევიზორიდან მიადევნებს თვალს ევროპის ჩემპიონატს და ეს მათივე ბრალია.

**სლოვენია – უკრაინა 1:1**

1:0 ცეზარი (11), 1:1 იარმოლენკო (90)

**სლოვენია:** ჰანდანოვიჩი, ბრეჩკო, ილიჩი, ცეზარი, იოკიჩი, პეჩნიკი (ილიჩიჩი 67), კრჰინი, კამპლი, ბირსა (ლაზარევიჩი 80), ბესზიაკი (ლიუბიანსკი 68), ნოვაკოვიჩი

**უკრაინა:** პიატოვი, ფედეცკი, ხაჩერიდი, რაკიცკი, შევჩუკი, სტეპანენკო, რიბალკა, იარმოლენკო, სიდორჩუკი (გარმაში 61), კონოპლიაკა, სელეზნიოვი (კრავეცი 80)

ლვოვში მოპოვებული საკმაოდ იოლი გამარჯვების შემდეგ არავინ ელოდა, თუ უკრაინის ნაკრების სისხლითა და ოფლით მოიპოვებდა ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას. სისხლი ტყუილად არ გვიხსენებია – ბალკანელები ყველაფრის ფასად, მათ შორის გადამეტებული უხეშობით ცდილობდნენ პიატოვის კარში გოლების გატანას. მით უფრო, რომ ერთი დასაწყისში მოახერხეს.

მე-11 წუთზე სლოვენიელთა კაპიტანმა ბოშტიან ცეზარმა ანგარიში გახსნა და მასპინძლებს იმედები ჩაუსახა. სწრაფმა გოლმა კიდევ უფრო დამუხტა სლოვენიელები, მაგრამ მთავარი მეორე გოლი იყო, რათა დამატებით დროში მაინც გადაეყვანათ თამაში.

თავის მხრივ, უკრაინელები სწრაფ კონტრშეტევებზე გადადიოდნენ და სამირ ჰანდანოვიჩმაც რამდენჯერმე იხსნა მასპინძლები. თუმცა, მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის მე-7 წუთზე (ამ დროს სლოვენია კაცნაკლული იყო) იარმოლენკოს დარტყმას ვერაფერი მოუხერხა და მატჩიც ლოგიკურად დასრულდა.

უკრაინამ სლოვენიასთან რევანში აიღო.

მაშ ასე, უკვე ცნობილია 24 გუნდი, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს: ალბანეთი, ავსტრია, ბელგია, ხორვატია, საფრანგეთი, უელსი, გერმანია, ინგლისი, იტალია, ირლანდია, ჩრ.ირლანდია, ისლანდია, პოლონეთი, პორტუგალია, ჩეხეთი, რუმინეთი, რუსეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, უკრაინა, უნგრეთი, თურქეთი.

# ბლატერისა და პლატინის საჩივრები არ დააკმაყოფილეს



ფიფას სააპელაციო კომიტეტმა ზეპ ბლატერისა და მიშელ პლატინის საჩივრები არ დააკმაყოფილა.

ფიფას პრეზიდენტმა ბლატერმა და უეფას პრეზიდენტმა პლატინიმ მათი ფეხბურთიდან 90-90 დღით ჩამოშორება გაასაჩივრეს, მაგრამ უშედეგოდ.

ახლა მსოფლიო და ევროპული ფეხბურთის უმაღლეს ჩინოსნებს ის დარჩენიათ, რომ ლოზანის საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართონ.

მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლოს, შვეიცარიის იუსტიციის ფედერალურმა ბიურომ საქმე ბლატერის წინააღმდეგ აღძრა, რომელიც 2011 წელს პლატინისთვის 2 მილიონი შვეიცარიული ფრანკის გადარიცხვაშია ეჭვმიტანილი.

პლატინის განცხადებით, ეს თანხა 1999-2002 წლებში ბლატერის მრჩევლად მუშაობის პერიოდში გაწეული სამსახურისთვის მიიღო.

თუმცა, ამ ყველაფერს სხვა თვალით უყურებს ფედერალური ბიურო და გამოძიებას სხვა კუთხით აწარმოებს.

# დავით თარგამაძე: „ჩემი თვალით ბევრი ტრაგედია ვნახე“



საქართველოს ნაკრების წევრი, 2012 წლის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად მიჩნეული დავით თარგამაძე, რომელიც დონეცკის შახტარის ფეხბურთელია და იჯარით ოლექსანდრიაში თამაშობს, დიდი ხანი იყო ფეხბურთს ჩამოშორებული.

უკრაინაში დაბრუნებული და ათამაშებული, იქაური მედიის ინტერესთა სფეროში მოექცა.

***– კარიერა წარმატებულად დაიწყეთ და საქართველოს ჩემპიონატიდან სრულიად ახალგაზრდა ბუნდესლიგის ფრაიბურგში მოხვდით.***

– იმ დროს ფრაიბურგში თამაშობდა ცნობილი ქართველი ფეხბურთელი ალექსანდრე იაშვილი. მან, მგონი, 10 წელი ითამაშა იქ. იაშვილს ჩემი თამაში ნანახი ჰქონდა და მისი მეშვეობით მოვხვდი გერმანიაში.

***– როგორ გაიხსენებთ ბუნდესლიგური კარიერის პერიოდს?***

– დებიუტი ბუნდესლიგაში ბაიერნთან მქონდა, სადაც იმ დროს ანატოლი ტიმოშჩუკი თამაშობდა. ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო. მაშინ 19 წლის ვიყავი. ფეხბურთელისთვის ამ ასაკში ძალიან მნიშვნელოვანია სათამაშო პრაქტიკა. სკამზე ჯდომა ფეხბურთელს არაფერს მისცემს, თუნდაც მადრიდის რეალის ფეხბურთელი იყო. ამიტომ კონტრაქტი გავწყვიტე და საქართველოში წავედი.

***– როგორ მოხვდით უკრაინაში და კერძოდ, ოლექსანდრიაში?***

– სამწუხაროდ, საქართველოში ფეხბურთს უჭირს, ჩემპიონატი სუსტია. სამი თვე ვიყავი იქ უკონტრაქტოდ. შემდეგ ერთმა აგენტმა დამირეკა და მითხრა, რომ იყო ასეთი გუნდი ოლექსანდრია, უკრაინის ჩემპიონატის პირველ ლიგაში. სიმართლე გითხრათ, არც კი გამეგო. დავთანხმდი. ჟურნალისტები და სხვებიც მეუბნებოდნენ, როგორ შეიძლებოდა ბუნდესლიგიდან უკრაინის პირველ ლიგაში წასვლა, მაგრამ ჩემთვის მთავარი იყო სათამაშო პრაქტიკა.

***– ოლექსანდრიას შემდეგ იყო დონეცკის შახტარი.***

– თავიდან ენობრივი ბარიერიც იყო, რუსულად ლაპარაკი და გაგება მიჭირდა და ინგლისურად ვითხოვდი ლაპარაკს. სულ რამდენიმე რუსული ფრაზა ვიცოდი. სულ მალე, როცა ავთამაშდი, ჩემზე ამბობდნენ, რომ პორტუ და პანათინაიკოსი დაინტერესდნენ, მაგრამ რამდენად კონკრეტული იყო ეს, არ ვიცი. ნაკლებად ვაქცევდი ამ ხმებს ყურადღებას. აი, შახტარის ვარიანტი კი კონკრეტული იყო და პირველი წრის შემდეგ დარეკეს კიდეც.

***– თუმცა შახტარში ვერ დაიმკვიდრეთ ადგილი და თავიდან 3-თვიანმა იჯარამ 4 წელიწადს გასტანა. იყო გაუგებრობა ილიჩოვეცის მწვრთნელთანაც.***

– ჩვენ გვქონდა სანაკრებო მატჩი ყაზახეთთან. მეორე დღეს ჩამოვფრინდით და წავიკითხეთ, რომ, თითქოს, თარგამაძე და ოქრიაშვილი კლუბში არ დაბრუნებულან. მწვრთნელმა შემდეგ აგვიხსნა, რომ ის სულ სხვა რამეს ამბობდა ჟურნალისტებთან და სხვანაირად გაიგეს.

***– დონბასში ომიც დაიწყო. როგორ გაიხსენებთ იმ დროს?***

– 12 საათზე ვარჯიში გვქონდა, როცა მწვრთნელის ასისტენტმა დაგვირეკა, სახლიდან არ გავსულიყავით, ქუჩაში ტანკებიაო. ორი დღე სახლიდან არ გავსულვარ. ვარჯიშები გაუქმდა, საომარი მდგომარეობა მიიღეს. ჩემი თვალით ბევრი ტრაგედია ვნახე, ეს ჩემთვის დიდი შოკი იყო. უკრაინაში უკვე 5 წელიწადია ვცხოვრობ. მე მიყვარს ეს ქვეყანა და აქ უკვე ბევრი მეგობარი მყავს. აქ თავს უკვე ისე ვგრძნობ, როგორც სამშობლოში.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**17 ნოემბერი**

**ეჩ-2016. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| დანია-შვედეთი | 2:2 |
| სლოვენია-უკრაინა | 1:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| რუსეთი-ხორვატია | 1:3 |
| აზერბაიჯანი-მოლდოვა | 2:1 |
| ესტონეთი-სენტ კისტი | 3:0 |
| თურქეთი-საბერძნეთი | 0:0 |
| ლუქსემბურგი-პორტუგალია | 0:2 |
| ავსტრია-შვეიცარია | 1:2 |
| იტალია-რუმინეთი | 2:2 |
| პოლონეთი-ჩეხეთი | 3:1 |
| სლოვაკეთი-ისლანდია | 3:1 |

**მჩ-2018. შესარჩევი ეტაპი**

**სამხრეთ ამერიკა**

| | |
|---|---|
| პარაგვაი-ბოლივია | 2:1 |
| ვენესუელა-ეკვადორი | 1:3 |
| კოლუმბია-არგენტინა | 0:1 |
| ბრაზილია-პერუ | 3:0 |
| ურუგვაი-ჩილე | 3:0 |

**აფრიკა**

| | |
|---|---|
| რუანდა-ლიბია | 1:3 |
| კამერუნი-ნიგერი | 0:0 |
| კონგო-ეტიოპია | 2:1 |
| განა-კომოროსი | 2:0 |
| ნიგერია-სვაზილენდი | 2:0 |
| ეგვიპტე-ჩადი | 4:0 |
| კოტ დივუარი-ლიბერია | 3:0 |
| ს.აფრიკა-ანგოლა | 1:0 |
| ტუნისი-მავრიტანია | 2:1 |
| ბურკინა ფასო-ბენინი | 2:0 |
| ალჟირი-ტანზანია | 7:0 |
| კაბო ვერდე-კენია | 2:0 |
| მალი-ბოსტვანა | 2:0 |
| სენეგალი-მადაგასკარი | 3:0 |

**აზია**

| | |
|---|---|
| გუამი-ირანი | 0:6 |
| ალ.ტიმორი-ს.არაბეთი | 0:10 |
| ჩრ.კორეა-ბაჰრეინი | 2:0 |
| ტაიპეი-ერაყი | 0:2 |
| ბანგლადეში-ავსტრალია | 0:4 |
| ბუტანი-ყატარი | 0:3 |
| ჰონ კონგი-ჩინეთი | 0:0 |
| ლაოსი-ს.კორეა | 0:5 |
| სინგაპური-სირია | 1:2 |
| კამბოჯა-იაპონია | 0:2 |
| მალაიზია-საემიროები | 1:2 |
| თურქმენეთი-ომანი | 2:1 |
| ყირგიზეთი-იორდანია | 1:0 |
| იემენი-უზბეკეთი | 1:3 |
| ეჩ-2017. შესარჩევი ეტაპი | (21) |
| აზერბაიჯანი-რუსეთი | 3:0 |
| ბელარუსი-კვიპროსი | 2:2 |
| სლოვენია-სერბეთი | 2:0 |
| იტალია-ლიტვა | 2:0 |
| გერმანია-ავსტრია | 4:2 |
| სლოვაკეთი-ჰოლანდია | 4:2 |
| ისრაელი-პორტუგალია | 0:3 |
| ხორვატია-ესპანეთი | 2:3 |
| დანია-სომხეთი | 2:0 |
| უელსი-რუმინეთი | 1:1 |
| ჩრ.ირლანდია-უკრაინა | 1:2 |

**კალათბურთი**

**18 ნოემბერი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-მილუოკი | 115:86 |
| ბრუკლინი-ატლანტა | 90:88 |
| დეტროიტი-კლივლენდი | 104:99 |
| მაიამი-მინესოტა | 91:103 |
| ნიუ იორკი-შარლოტი | 102:94 |
| ნიუ ორლეანი-დენვერი | 98:115 |
| გოლდენ სტეიტი-ტორონტო | 115:110 |

**ჩოგბურთი**

**17 ნოემბერი**

**ატპ. შემაჯამებელი ტურნირი**

მარეი-ფერერი 6:4;6:4

ნადალი-ვავრინკა 6:3;6:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# არნოლდ შვარცენეგერი ბრაკონიერების წინააღმდეგ



ჰოლივუდის მსახიობმა არნოლდ შვარცენეგერმა სპილოს ეშვი ააფეთქა, რათა ამით ყურადღება მიეპყრო ბრაკონიერობის პრობლემის მიმართ. ამის ამსახველი შესაბამისი ვიდეო რგოლი განთავსებული იქნა ინტერნეტში.

ვიდეოზე ტანკის ფონზე ხელში სპილოს ეშვით მდგომი მსახიობი საუბრობს იმაზე, რომ სპილოს ძვალზე მოთხოვნილებისგან ერთხელ და სამუდამოდ უნდა განვთავისუფლდეთ. შვარცენეგერი მაყურებლებს უხსნის, რომ ყოველწლიურად ამ ძვლოვანი წარმონაქმნის მისაღებად 96 სპილოს კლავენ. შემდეგ კი მსახიობმა სპილოს ეშვი თივის ზვინზე დადო და ააფეთქა.

ამ ვიდეო რგოლის შექმნის ინიციატორია აშშ-ს ველური ბუნების დაცვის საზოგადოება, ხოლო სპილოს ეშვი მათ ლოს-ანჯელესის ზოოპარკმა გადასცა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს რვა ქვეყანაში, მათ შორის ჩინეთში, აშშ-სა და ზოგიერთ აფრიკულ სახელმწიფოში სახალხოდ იქნა განადგურებული არალეგალური გზით მოპოვებული 42 ტონა სპილოს ძვალი.

# ამერიკელი სქესის შეცვლიდან 10 წელში დაფეხმძიმდა



ამერიკის ქალაქ ფილადელფიის მცხოვრები კეიდენ ქოულმანი სქესის შეცვლიდან 10 წელიწადში დაფეხმძიმდა. 29 წლის ტრანსგენდერმა ბავშვი ორი წლის წინ გააჩინა, თუმცა, ამის შესახებ მხოლოდ ახლახან განაცხადა.

ქოულმანმა განაცხადა, რომ მან და მისმა მუდმივმა პარტნიორმა ელაიჯამ მისი ფეხმძიმობის შესახებ ფეხმძიმობის მხოლოდ 21-ე კვირას გაიგეს.

– დაფეხმძიმებაზე არასოდეს მიფიქრია. იმ მამაკაცის ჰორმონების გამო, რომლებსაც წლების მანძილზე ვიღებდი, ეს შეუძლებლად მიმაჩნდა. ეს ნამდვილი სიურპრიზი იყო, – განაცხადა ქოულმანმა. მან ასევე აღნიშნა, რომ როდესაც მუცელი წამოეზარდა და შესაბამისად ტკივილებიც დაეწყო, ფეხმძიმობის ტესტის ყიდვაზე ხუმრობდა და ეჭვადაც არ ჰქონდა, რომ სინამდვილეში ფეხმძიმედ იყო.

– ახლა ჩემი ცხოვრება ჩემი გოგონას გარეშე ვერ წარმომიდგენია, – განაცხადა ტრანსგენდერმა და იქვე დაამატა, რომ ის და მისი მეგობარი კიდევ შვილების ყოლას არ გეგმავენ. ქოულმანის თქმით, ბავშვი ორივეს მამას ეძახის და სიმართლეს მხოლოდ მაშინ გაიგებს, როდესაც წამოიზრდება.

# კანადელი სიქხი პარიზელ ტერორისტში აერიათ

ერთ-ერთ მასალაში, რომელიც პარიზის ტერაქტებს მიეძღვნა, ერთ-ერთმა ესპანურმა გამოცემამ გამოაქვეყნა კანადაში მცხოვრები სიქხის ვიირენდერ ჯუბალას ფოტოსურათი. ის წარმოადგინეს, როგორც ერთ-ერთი ტერორისტი, რომელიც ათეულობით



ადამიანის დაღუპვაზეა პასუხისმგებელი.

გამოცემას სურათის ქვეშ გაკეთებული აქვს წარწერა: „ერთ-ერთი ტერორისტი, რომელმაც მოახერხა, საბერძნეთის საზღვარი სირიელ ლტოლვილებთან ერთად გადაელახა“.

ფოტო ორიგინალზე კანადელი ჟურნალისტი ჯუბალი სააბაზანო ოთახში იმყოფება ხელში აიპოდით. მაგრამ ესპანურმა გაზეთმა ფოტოშოფში დამუშავებული ფოტოსურათი გამოაქვეყნა, რომელზეც მამაკაცს წელზე თვითმკვლელის ქამარი უკეთია, ხოლო ხელში აიპოდის ნაცვლად, ყურანი უჭირავს.

ვინ და რატომ შეცვალა ფოტოსურათი, უცნობია. თავად ჟურნალისტი კი ფიქრობს, რომ შესაძლოა ამაში იმ სათამაშო საზოგადოების ხელი ურევია, რომელიც მან თავის ერთ-ერთ ბოლო სტატიაში გააკრიტიკა.

# ინგლისელი ბიზნესმენი მუსლიმანებს სილამაზის სალონში არ უშვებს

ინგლისის დასახლება ბისესტერში მდებარე სპა-სალონის მფლობელი იმის გამო დააპატიმრეს, რომ მან ფეისბუქში გამოაქვეყნა განცხადება, რომლის თანახმადაც მისი დაწესებულება მუსულმანებს აღარ ემსახურება. ქალმა საკუთარი გადაწყვეტილება პატრიოტული გრძნობებით ახსნა.

43 წლის ბიზნესმენმა ქალმა, რომლის ვინაობა უცნობი დარჩა, დაწერა, რომ მუსულმანური აღმსარებლობის მქონე პირები არ დაიშვებიან სილამაზის სალონში, იმის მიუხედავად, ისინი არიან თუ არა ბრიტანეთის მოქალაქეები.

– ძალიან ვწუხვარ, მაგრამ მოვიდა იმის დრო, რომ ჩვენ ქვეყანაზე ვიფიქროთ, – აღნიშნა ბიზნესმენმა ქალბატონმა.

სალონის მფლობელის მიერ სოციალურ ქსელში განცხადების გამოქვეყნებას მისი აქტიური განხილვა მოჰყვა. კომენტარების გამკეთებლების აზრი გაიყო.

– ბრწყინვალე სიახლეა, განსაკუთრებით პარიზის მოვლენების ფონზე, – დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

– რასისტულია და სრული სისულელე, – ჩათვალა განხილვის მეორე მონაწილემ.

რამდენიმე საჩივრის შესვლის შემდეგ პოლიცია იძულებული გახდა, ბიზნესმენი ქალბატონი ეროვნებათშორის სიძულვილის გაღვივების ბრალდებით დაეპატიმრებინა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

სპორტი

# გიორგი ასანიძე: „ჩვენი მიზანი გუნდური შედეგი და 3 ლიცენზიაა“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

წაადგებოდა საჩხერეში გამოსვლა. საჩხერეში დამყარდა საქართველოს რამდენიმე რეკორდი. მართალია, ყველა მძიმეწონოსან ლაშა ტალახაძეს ეკუთვნის, მაგრამ სხვებსაც არ უასპარეზიათ ცუდად.

***– რახან შეკრებაზე მყოფთაგან სპორტსმენების ნაწილი არ გამოიყვანეთ საჩხერეში, მათი სადღეისო მზადების სრული სურათი როგორ გამოკვეთეთ?***

– ნაკრების წევრთა უმეტესობა ჯერ შორს არის მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენებთან კონკურენციისგან, მაგრამ რახან ჩვენი მთავარი მიზანი გუნდური შედეგია და რაც შეიძლება მეტი ჩასათვლელი ქულის მოპოვება, ამ კუთხით სასაყვედურო არ გვაქვს. სხვა საქმეა უშუალოდ შეჯიბრზე გამოსვლა და იქ მაქსიმალური შედეგის ჩვენება, მაგრამ მჯერა, რომ საშეჯიბრო, ფსიქოლოგიურ სირთულეებსაც დაძლევენ და მაქსიმალურად ბევრ სალიცენზიო ქულას ავიღებთ.

***– დასამალი არაა, რომ ყველაზე მეტად ლაშა ტალახაძის და ირაკლი თურმანიძის გვეიმედება და ქულათა ყველაზე დიდი მარაგიც მათ უნდა შექმნან.***

– ნამდვილად ასეა და იმედი მაქვს, რომ ორივე სპორტსმენი საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოიყენებს.

ირაკლი თურმანიძე წელს ევროპის ჩემპიონი გახდა და ძალიან გაგვახარა. ირაკლი მაღალი დონის სპორტსმენია და ამ ტურნირზეც ველით მაღალ შედეგს, თუმცა, ევროპის შემდეგ ოდნავ დაიღალა, აქა-იქ მცირე ტრავმებიც აღმოაჩნდა, რამაც მზადებაში ოდნავ შეუშალა ხელი. ის მედლებისთვის ალბათ ვერ იბრძოლებს, თუმცა ქულათა სოლიდურ რაოდენობას რომ შეგვძენს, დარწმუნებული ვარ.

სხვა ვითარებაა ტალახაძის შემთხვევაში. ლაშა გამორჩეული ტალანტია და მისგან მედლისთვის ბრძოლასაც ველით. ცხადია, თუ არაფერმა შეუშალა ხელი და მაქსიმალურად იმუშავა. მას ორწლიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა დოპინგის გამო და ფიცარნაგს ერთი თვის წინ დაუბრუნდა. ცხადია, ამ ხნის განმავლობაში ვარჯიში არ შეუწყვეტია.

ლაშა იმაზე უკეთეს ფორმაშია, ვიდრე ველოდით. საჩხერეში საქართველოს 8 რეკორდი დაამყარა ორივე მოძრაობასა და ორჭიდში. თან ისეთი მარაგით, რომ ბევრად მეტიც შეუძლია.

***– ლაშა ვალდებულია, წელიწადში მინიმუმ ორჯერ ჩააბაროს დოპინგ-ტესტი. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების რამდენიმე წევრს ამასთან პრობლემები ჰქონდა და დაისაჯნენ კიდეც. დღეს რა ვითარებაა გუნდში და არის თუ არა უსიამოვნო წარსულის მაგალითების განმეორების შანსი?***

– ნაკრების სათავეში ჩემი მოსვლის პირველივე დღიდან დავსვი საკითხი და ხმამაღლა განვაცხადე, რომ ყოველგვარ დოპინგს უნდა გავემიჯნოთ.

ამის გამოა, რომ მაღალმთიან რეგიონებში ვაწყობთ ხანგრძლივ შეკრებებს და აქცენტი გადატანილი გვაქვს ნატურალური, ადგილობრივი, სოფლის პროდუქტებით კვებაზე, შესაბამისი ვიტამინების დამატებით, რაც შედეგს ნამდვილად მოგვცემს. ვხედავ კიდეც წინსვლას და მახარებს, რომ ეს დოპინგის გარეშე შევძელით.

ცხადია, ვალდებულებებს არ გავექეცით და სინჯები შესაბამის ლაბორატორიებს ჩავაბარეთ. ის კი არა, დაზღვევის მიზნით, ორის ნაცვლად სამჯერ გავიარეთ დოპინგ-ტესტი.

***– საინტერესოა, თუ ჩააბარეთ ამჟამად ტესტები კიოლნის ლაბორატორიაში? ეს ის ლაბორატორიაა, რომელიც მოულოდნელ შედეგებს დებს ხოლმე – ორი წლის და შესაძლოა, მეტი ხნის წინანდელ დოპინგის კვალსაც კი აღმოაჩენს ხოლმე სპორტსმენის სისხლში.***

– კიოლნის ლაბორატორიაშიც ჩავაბარეთ მონაცემები და არავითარი დოპინგის კვალი დღეისათვის არ ჩანს, რაც კარგია, მაგრამ ასე იყო წლევანდელ ევროპის ჩემპიონატამდეც, რომელიც თბილისში ჩატარდა. დავით გოგიამ მშვიდად იასპარეზა, მაგრამ შემდეგ, რატომღაც კიოლნის ლაბორატორიამ დოპინგი აღმოუჩინა.

ამ საკითხზე ეგრევე გავაკეთეთ მობილიზება და საჩივრებიც შევიტანეთ საერთაშორისო ფედერაციაში. იმედია, ყველაფერი კარგად გადაწყდება. იმ ევროპაზე გამოჭერილ ყველა სპორტსმენს მისცეს დისკვალიფიკაცია, გარდა გოგიასი. როგორც ჩანს, ჩვენი არგუმენტები მისაღებია, ამიტომ ვერ გამოაქვთ საბოლოო ვერდიქტი.

***– წარმატებებს გისურვებთ და ჰიუსტონიდან მხოლოდ დადებით ინფორმაციებს ველით.***

– ღმერთმა ქნას, ასე იყოს. მინდა მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანსა თუ ორგანიზაციას, ვინც ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ყურადღება და ფინანსური თუ მორალური დახმარება არ დაინანა, განსაკუთრებით კი – სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს.

# ასტროპროგნოზი

## 19 ნოემბრისათვის



**ვერძი** – საქმიანი კონტაქტები შემოსავალს გაგიზრდით. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ჯანმრთელობისთვის სახიფათო პერიოდია. **კურო** – ბავშვებს პირადი მაგალითი უჩვენეთ. თქვენი მომხიბვლელობა ზენიტშია. დღეს შეგიძლიათ, თამამად განახორციელოთ ახალი იდეები. **ტყუპები** – თქვენი წარმატების გასაღები შრომისმოყვარეობაშია. თუ თქვენს ხელთ არსებულ რესურსებს გონივრულად გამოიყენებთ, შეძლებთ, სოციალური სტატუსი უკეთესობისკენ შეცვალოთ. **კირჩხიბი** – საქმე ნელა და აუჩქარებლად აკეთეთ. დღის მეორე ნახევარში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებია მოსალოდნელი. **ლომი** – მაქსიმალური დისციპლინა, ორგანიზებულობა და შრომისმოყვარეობა ძალიან გჭირდებათ. შორეული ნაცნობი საკმაოდ სასარგებლო რჩევას მოგცემთ. **ქალწული** – ძალზე იღბლიანი პერიოდი გაქვთ. მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გიუმჯობესდებათ. ყველაფერი კი მაინც თქვენს აქტიურობასა და საზრიანობაზეა დამოკიდებული. **სასწორი** – აფორიაქებული ხართ. მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას. კარგი იქნება, თუ გარემოს შეიცვლით, მოინახულებთ მეგობრებს. **ღრიანკალი** – აგრესიული და სახიფათო დღეა. ბიზნესპარტნიორებს არ ენდოთ და მათ ანკესს არ წამოეგოთ. ყველაფერი კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** – კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. დღის დევიზია დიდსულოვნება, სულიერი წონასწორობა, ურთიერთობა მეგობრებთან და ახლობლებთან. **თხის რქა** – მოსალოდნელია მატერიალური ზარალი. კონფლიქტური დღეა. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ემოციები მოთოკეთ, თქვენთვის არასასურველ ადამიანებს გაერიდეთ. **მერწყული** – ახალი ნაცნობობა სასიამოვნო იქნება. არ გადაიღალოთ. თქვენი ჯანმრთელობისათვის დღეს საჭიროა დასვენება მყუდრო გარემოში. წვრილმან უსიამოვნებებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. **თევზები** – ოპტიმისტურად განეწყვეთ. გარისკვა დღეს რეკომენდებული არ არის. ერიდეთ საეჭვო ნაცნობობას. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** კულტურის დაქვეითება, დაცემა; 2. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 3. ყველაზე დიდი ქალაქი ბასკეთში; 4. ბუღალტერიაში სხვაობა შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შორის; 5. რუმინელი კომპოზიტორი; 11. ფიგურული სახაზავი; 12. ნოტიო, თიხნარი ნიადაგის ქართული სახელწოდება; 14. ესპანელი სიურეალისტი მხატვარი; 16. მესაქონლეობის ფერმის მფლობელი სამხრეთ ამერიკაში; 17. სამეგრელოსა და ლეჩხუმში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 19. ავადმყოფური სიმპტომების დროებითი შესუსტება; 21. ცხენის ერთგვარი სვლა; 22. ორელექტროდიანი ელექტრო-ვაკუუმური ნათურა.

**თარაზულად:** 6. ჩინური ფაიფური; 7. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში; 8. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 9. ნელი, ლირიული ცეკვა ბალეტში; 10. საშობაო სიმღერა; 13. სირიის პრეზიდენტი; 15. ისტორიული მოედანი ლონდონში; 18. სახალხო მთქმელი, პოეტი-მომღერალი უკრაინაში; 20. ბრიტანული არაყი; 21. ნიადაგის ღრმად გამაფხვიერებელი კულტივატორი; 23. ურთიერთდათმობით მიღებული გადაწყვეტილება; 24. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. „ხანჯლური“; 2. გერბი; 3. მჭედლიძე; 4. ფინეთი; 7. ეკერი; 9. ჭინკა; 12. ბრანდვახტი; 14. დიქცია; 15. კასკადი; 17. „ჰოოპუნა“; 20. უწერა.

**თარაზულად**: 5. „ბაბუშერა“; 6. კაჭკაჭი; 8. „გობსეკი“; 10. კირჩხიბი; 11. გრაცია; 13. მწევარი; 16. პარალიზი; 18. „ჰონდა“; 19. ისტრი; 21. რწყილი; 22. ოდომეტრი; 23. გრანიტი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ექსპრომტი; 2. „არაბიკა“; 3. „წიქარა“; 4. სიამი; 5. იშხანი; 11. ბიკილა; 12. ბაცილა; 14. ჟირო; 16. ლანქერი; 17. პატრიცი; 19. რეცეპტი; 21. ლავრა.

**თარაზულად**: 6. ოქსფორდი; 7. ბაიყუში; 8. მუყაო; 9. არახისი; 10. რომბი; 13. სტაჟი; 15. პლებისციტი; 18. „დავლური“; 20. აბიო; 21. ლეკები; 23. ფილანტროპი; 24. ცაგერი.

# კრისტი ყიფშიძემ მსახიობობა დაიწყო



საზოგადოება უკვე მიეჩვია, რომ მოდელი კრისტი ყიფშიძე მოდის კვირეულების და სხვადასხვა დიზაინერის კოლექციის წარდგენის პარალელურად, აქტიურად ჩნდება სხვადასხვა მომღერლების კლიპებში. დათო ხუჯაძე, ანრი ჯოხაძე კრისტისთან სიამოვნებით თანამშრომლობენ.

ამჯერად მოდელმა პროფესია დროებით შეიცვალა და მსახიობობა დაიწყო. ის რეჟისორმა ევგენი გორინმა გადაიღო თავის ახალ ფილმში, რომელიც მსოფლიოში ცნობილ ვირტუოზ გიტარისტს პაკო დე ლუსიას ეძღვნება.

პაკო დე ლუსიასადმი მიძღვნილ ფილმში კრისტი ყიფშიძე ესპანელი მკითხავის როლს თამაშობს. მოდელთან ერთად ფილმში ბათუმელი მუსიკოსებიც მონაწილეობენ.

„ვისაუბროთ პაკოზე“ – ასეთია ფილმის სახელწოდება, რომლის პრემიერაც მომავალ წელს ესპანეთში გაიმართება.

# კოტე მახარაძე 89 წლის გახდებოდა



ქართული თეატრისა და სპორტული სამყაროს ვარსკვლავი კოტე მახარაძე 89 წლის გახდებოდა. შეუცვლელი სპორტული კომენტატორის დაბადების დღე მისმა ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა და კოლეგებმა დიდუბის პანთეონში მის საფლავზე შეკრებით აღნიშნეს და კიდევ ერთხელ გაიხსენეს კოტე მახარაძის ღვაწლი სამშობლოს წინაშე.

კოტე მახარაძის სახელს უკავშირდება ქართული ფეხბურთის ორი უმნიშვნელოვანესი ტელერეპორტაჟი, როდესაც თბილისის „დინამომ“ ჯერ 1979 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო შემდეგ, 1981 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგო.

კოტე მახარაძე ქორეოგრაფიულ სტუდიაში დადიოდა და სკოლის დამთავრების შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა.

მან 23 წელი იმუშავა რუსთაველის თეატრში, შემდეგ კი გადავიდა მარჯანიშვილის თეატრში. წლების განმავლობაში კოტე მახარაძე იყო თეატრალური უნივერსიტეტის ტელეჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი და პროფესორი.

მან ფიქრის გორაზე დაარსა ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო“, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მსახიობი იყო სიცოცხლის ბოლომდე.

თეატრში მოღვაწეობის პარალელურად, იგი გატაცებული იყო სპორტული ცხოვრებით, იყო საქართველოს კალათბურთის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი, მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი, თამაშობდა კალათბურთს თბილისის დინამოში.

სპორტულ კომენტატორად მუშაობა დაიწყო ჯერ საქართველოს, ხოლო შემდგომ საკავშირო რადიოსა და ტელევიზიაში. 40 წლის განმავლობაში მიჰყავდა რეპორტაჟები ქართულ და რუსულ ენებზე.

კოტე მახარაძის მეუღლეები იყვნენ მედეა ჩახავა და სოფიკო ჭიაურელი. მას მედეა ჩახავასთან მაკა მახარაძე და ივიკო მახარაძე ჰყავს, სოფიკო ჭიაურელთან კი შვილი არ ჰყავდა, რასაც სოფიკო ჭიაურელი მთელი ცხოვრება ნანობდა.

კოტე მახარაძე 76 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

# მერაბ ნინიძე პოპულარობამ შეაწუხა



უცხოეთში მოღვაწე ქართველი მსახიობი მერაბ ნინიძე ყოველთვის სასურველი სტუმარია საქართველოში. ამჯერად მსახიობი სამშობლოში განსაკუთრებული მისიით ჩამოვიდა და ერთგულ მაყურებელს თავისი ავტობიოგრაფიული წიგნი წარუდგინა.

„მთავარია მსახიობი არ გამოხვიდე“ ასე დაერქვა კრებულს, რომელშიც მერაბ ნინიძის ცხოვრებიდან მნიშვნელოვანი ეტაპებია აღწერილი.

როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოება დარბაზმა ვერ დაიტია. მსახიობმა ავტოგრაფებიც მრავლად დაარიგა და წიგნის თანაავტორთან, მარიკა ბაკურაძესთან ერთად საუკეთესო ეპიზოდებიც გაიხსენა.

– 50 წელთან მიახლოება ის დროა, როცა შესაჯამებელი ჯერ კიდევ არაფერია, ამიტომ მისი თხოვნაა – ეს წიგნი კლასიკურ ავტობიოგრაფიად არ განვიხილოთ. უბრალოდ, ეს იყო ამბები, რომელიც მან გაიხსენა, მომიყვა, მე კი წიგნად ვაქციე.

მკითხველისთვის აქ ყველაზე საინტერესო ალბათ ისაა, რომ მთელ ამ ისტორიებს ფართო საზოგადოება წიგნის საშუალებით პირველად იგებს, – ამბობს წიგნის თანაავტორი მარიკა ბაკურაძე.

მარიკამ და მერაბმა ერთმანეთი „ვენეციელი ვაჭრის“ პრემიერაზე გაიცნეს, სამი წლის შემდეგ კი ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს „იმედის გმირების“ პროექტის საშუალებით.

**მარიკა ბაკურაძე:**

– ჩვენი პირველი შეხვედრის ფოტო ამ წიგნშიც შევიდა, როცა „ვენეციელი ვაჭარი“ თეატრალურ სარდაფში დაიდგა და რადიოდან მასთან ინტერვიუს ჩასაწერად გამიშვეს.

სამი წლის შემდეგ გადავწყვიტე, „იმედის გმირების“ დაჯილდოებაზე ერთ-ერთი გმირი მას წარედგინა.

იმ დროიდან მოყოლებული განვაახლეთ ნაცნობობა და ვმეგობრობთ. როცა ავტობიოგრაფიულ წიგნზე დავუწყე საუბარი, მერაბმა ეს იუმორით მიიღო, იკითხა, სამუზეუმო ექსპონატი ხომ არ ვარო, მაგრამ როცა დიდხანს ვისაუბრეთ, დაინტერესდა. რა თქმა უნდა, იყო სირთულეები, წიგნზე მუშაობა 9-10 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ამ წიგნში არის მისი ბავშვობის წლები, თეატრი, კინო და პირადი ცხოვრება. სირთულე იყო ისიც, რომ მინდოდა გულწრფელი ყოფილიყო წიგნში მოთხრობილი ამბები და ყველაფერი შეუნიღბავად გადმოგვეცა. მგონი, ერთად შევძელით ამის მიღწევა. წიგნი ზაფხულში გამოვიდა, თუმცა მისი პრეზენტაცია მერაბთან ერთად დაიგეგმა და ეს აქამდე ვერ მოხერხდა.

თავად მერაბ ნინიძე კი ასეთმა ყურადღებამ და გადამეტებულმა კომპლიმენტებმა იმდენად შეაწუხა, რომ სოციალურ ქსელში ასეთი განცხადება გაავრცელა:

– მერაბ ნინიძე-ვ ძალიან შემაწუხე... გაიტანეთ ეს კაცი!!! რა კარგი იყო, ინკოგნიტოდ რომ ვეგდე ფეისბუქზე და არავინ ყურადღებას არ მაქცევდა.

# რატი დურგლიშვილი კლიპებს ამერიკაში იღებს



დუეტ „ჯორჯიას“ დაშლის შემდეგ, მისმა ერთ-ერთმა წევრმა რატი დურგლიშვილმა გადაწყვიტა, სოლო კარიერა გაიკეთოს და ამისთვის ძალღონეს არ იშურებს. მომღერალი აქტიურად თანამშრომლობს უცხოელ პროდიუსერებთან.

რატიმ უკვე შესთავაზა მსმენელს თავისი ახალი სიმღერა „ქაღალდის ნავი“ და მასზე გადაღებული კლიპი. ამჯერად რატი კვლავ აქტიურ შემოქმედებით პროცესშია და თავის დაწერილ ორ ახალ ინგლისურენოვან სიმღერაზე კლიპებს იღებს.

ვიდეო რგოლების გადაღებები ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარეობს. გადაღებები ლოს ანჯელესშია დაგეგმილი. მომღერალს ვიდეო რგოლებზე მუშაობის დროს არც ფოტოების გადაღება ავიწყდება და არც პატარა ვიდეოების.

მის ერთ-ერთ კლიპში ცნობილი ამერიკელი მსახიობი მონაწილეობს, რომელიც არაერთ სერიალშია გადაღებული. რაც შეეხება რეჟისორს, მისი კლიპების რეჟისორი ცნობილი ხელოვანია, რომელსაც სარეკლამო კლიპების გარდა, მსოფლიო ვარსკვლავის ტინა ტერნერის კლიპიც აქვს გადაღებული.

– დაწყებული კვებით, მანქანების მომსახურებით, ორგანიზებით – ყველაფერი გაწერილია, ყოველი წამი... ასე მგონია, ჰოლივუდის ფილმში მიღებენ. ის კამერა, რითაც ვიღებთ, უახლესია, ახლა ფილმებს რითიც იღებენ.

პირველი კლიპის გადაღებისგან მეორე ძალიან განსხვავდება, აქ 12 ადამიანი მუშაობს, – ამბობს მომღერალი.

# ნანკა კალატოზიშვილი: „როგორ გამოვხატო ემოცია?“



მას შემდეგ, რაც მუსიკისა და დრამის მსახიობი ნანკა კალატოზიშვილი საყვარელ მამაკაცს, კალათბურთელ ირაკლი კეიდიას გაშორდა, მთელი თავისი დრო და ყურადღება კარიერასა და შვილზე აქვს გადატანილი.

ნანკა ახალ სპექტაკლებშიც მონაწილეობს, მერსედეს ბენცის კვირეულზე მოდელის ამპლუაშიც გამოჩნდა და რაც მთავარია, სულ უფრო და უფრო მეტ დროს უთმობს თავის პატარა დანიელს, რომელიც დედიკოს ყოველდღიურად აოცებს.

მსახიობმა სოციალურ ქსელში ემოციური ჩანაწერი გაავრცელა და გამოცდილ დედებს დაეკითხა, როგორც გამოხატოს ემოცია.

**ნანკა კალატოზიშვილი:**

– ღამის ორ საათზე მეძახის დანი, შევრბივარ და ამ დროს სძინავს. სავარაუდოდ, ან ვესიზმრები, ან ვჭირდები იქ, სადაც ძილში მოგზაურობს.

არ ვაღვიძებ, ერთადერთი, სიახლოვეს მოფერებით ვაგრძნობინებ და ძალიან მინდა, ამ შეგრძნებით სიზმარშიც დამინახოს და დამშვიდდეს. ყველაფერთან ერთად, ძალიან მაინტერესებს, რას ხედავს, რა ესიზმრება.

ყოველდღე მის შეცნობაში ვარ და სიზმრებით ალბათ, კიდევ უფრო კარგად გავიცნობდი მის დამოკიდებულებას სამყაროს მიმართ.

უცებ თავისით ეღვიძება, მხედავს და ისე უხარია, რომ ამ ღიმილზე გავცვლიდი ყველაფერს, მიხუტებს და მეფერება სახეზე. მერე ისევ დედას ძახილით იძინებს ჩახუტებული.

საერთოდ ვერ ვხვდები, როგორ უნდა გამოვხატო ემოცია, რომელიც დანის დანახვაზე, ან მასზე ფიქრით და მისი ხსენების დროს მეუფლება. სისულელეა სიყვარულის ახსნა, სიყვარულს უნდა გრძნობდე და სიტყვები ამ დროს მხოლოდ აქსესუარია. კინგ დანიუს!

# ელისო ბოლქვაძე პრაღაში საქველმოქმედო კონცერტს გამართავს

მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ბოლქვაძე პრაღაში საქველმოქმედო კონცერტს გამართავს.

იუნესკოს მშვიდობის არტისტი მსოფლიოს მასშტაბით ხშირად ატარებს საქველმოქმედო კონცერტებს, ამიტომაც გამონაკლისი არც 20 ნოემბერს დაგეგმილი კონცერტია.

ქართველი პიანისტის მოსასმენად საზოგადოება პრაღაში, წმინდა სიმონისა და იუდას ეკლესიაში შეიკრიბება. კონცერტზე დასწრება თავისუფალია. სურვილის შემთხვევაში კი ნებისმიერ მსურველს შეეძლება ნებაყოფლობითი შემოწირულობები.

ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხა მთლიანად ორგანიზაცია „დიაკონიას“ გადაეცემა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება, გალის ნაღები ინტელიგენცია, ნათესავთა და მეგობართა წრე, გულდათუთქული მეზობლები გაუსაძლისი გულისტკივილით იუწყებიან დიდებული კოლორიტული პიროვნების, კაცური კაცის, გაჭირვებულთა ქომაგის

**ემირ პარმენის ძე აქუბარდიას**

ტრაგიკულ დაღუპვას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებსა და მთლიანად გალის რაიონის მოსახლეობას.

ნათელში იყოს მისი უწმინდესი სული, ამინ!

ნოდარ ზარანდია, ბონდო ჩქოტუა, სლავიკ კვეკვესქირი, ემირ შონია, რაჟდენ ქარდავა

გალის რაიონის საზოგადოება, აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება მწუხარებით იუწყებიან უპატიოსნესი, უგულითადესი, უღალატო, ლამაზი, კოხტა პიროვნების

**ჯემალ ჭანტურიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ძმებს.

ზეციური სასუფეველი დაუმკვიდროს ღმერთმა, ამინ!

მეგობრების სახელით, ჟუნკერ ჯინჯოლია, თამაზ ხუფენია, რაჟდენ ქარდავა

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 19 ნოემბერი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **14.05** მხ/ფ "**ჩიტი მავთულზე**" (მ.გიბსონი) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**სად ხარ?!**" **18.05** "სიტყვების თამაში" **18.30, 19.01** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **21.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **22.00** მხ/ფ "**მშობლები**" (ს.მარტინი) **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**ტურა**" (ბ.უილისი)

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დოკ/ფ "ახალგაზრდული სული" **13.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **14.00,16.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00** სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" **07.00** სერ. "**კარმა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ."**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** ერთხელ საქართველოში **00.30** მხ/ფ "**სისხლით და ოფლით**" (მ.უოლბერგი) **02.50** მხ/ფ "**მეგობრის საქმრო**" (ჯ.კრასინსკი)

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** პროფილი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

**06.15** ჩვენი ფონდი **06.40** პატერიკი-"მაზიარებელ ადამიანს ბოროტისგან უფალი იცავს" **06.50** დეკორატიული ფლორა "დუმფარა" **07.05** ქართული ალბომი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ფილატელისტის სიკვდილი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "შრომატე სანგუანა ტრიქოლოგი" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე **16.10** დ/ფ "**13** ასურელი მამა" **16.55** დიდ ხარ შენ უფალო-მოციქულები **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.00** ქართული ხმები-ნანინა **20.40** ძილი ნებისა "ზღვის ფერია" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **22.25** სალბუნი-მეანგინეკოლოგია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.25** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ქვესტის სამყარო" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** **სერიალი "სხვისი სხეული"** **11.05** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05** **სერიალი "დაკარგული დრო"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05** **სერიალი "ტატიანა"** **17.05** **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** **სერიალი "ნადირობა"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** **სერიალი "ბანდიტების დედოფალი"** **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00** **სერიალი "ფერფლი"** **1.30** **სერიალი "ტატიანა"** **2.15** **სერიალი "სიყვარულის იმპერია"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


19 ნოემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.401

ევრო — 2.5751

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.649

100 რუსული რუბლი — 3.6298

## ამინდის პროგნოზი 19 ნოემბრისთვის






## კალეიდოსკოპი

### 2016 წლის ყველაზე სექსუალური საცურაო კოსტუმები



ამერიკული ჟურნალის სპორტს ილუსტრეიდის რედაქციამ ინტერნეტში თავისი ყოველწლიური დამატების ტიზერი გამოაქვეყნა, რომელშიც, გამოცემის ვერსიით, 2016 წლის ყველაზე სექსუალური საცურაო კოსტუმები წარმოადგინა.

30 წამიან ვიდეოში ბიკინის რამდენიმე მოდელია წარმოდგენილი, რომლებითაც მოდელები პლაჟზე პოზირებენ. ვიდეო რგოლის ავტორებმა მსხვილი ხედით წარმოადგინეს მანეკენების ფიგურები ისე, რომ მათი სახეები არ უჩვენებიათ.

სპორტს ილუსტრეიდს არ სურდა ნომრის გამოსვლამდე, 2016 წლის თებერვლამდე, მოდელების სახელებისა და ვინაობის გამხელა.

2015 წლის ანალოგიურ გამოცემაში ჟურნალის გარეკანზე განთავსებული იყო მოდელ ჰანა დევისის სურათი, რომელმაც სწორედ ამის შემდეგ გაითქვა სახელი მოდის სამყაროში.

## ძაღლმა იახტით ატლანტის ოკეანე გადაცურა



ჯეკ-რასელ-ტერიერის ჯიშის ძაღლმა სახელად სკიპერმა იახტით 32 ათას კილომეტრზე მეტი გაცურა და ატლანტის ოკეანე თავის პატრონ ჯონ ტეილორთან ერთად გადალახა.

გავრცელებულ ინფორმაციაში მითითებული არ არის, თუ ზუსტად როდის შედგა ეს მოგზაურობა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს სკიპერისთვის პირველი საზღვაო მოგზაურობა არ ყოფილა. 2011 წელს ძაღლმა და მისმა პატრონმა ხუთი თვე გაატარეს ზღვაში პორტუგალიის სანაპიროსთან ცურვასა და აზორის კუნძულებამდე მიღწევაში.

48 წლის ტეილორის თქმით, მის ძაღლს უფრო მეტი დრო აქვს გატარებული მოგზაურობებში, ვიდრე სხვა ნებისმიერს და იქვე დაამატა, რომ გზაში სკიპერი თავს ყოველთვის კარგად გრძნობდა.

ატლანტის ოკეანის გადაცურვამდე ტეილორმა და მისმა ძაღლმა პატარა სატვირთო მანქანით იმოგზაურეს და ცხრა კვირის მანძილზე მათ მოინახულეს საფრანგეთი, შვეიცარია, ანდორა, ესპანეთი და იტალია.

უახლოეს ხანებში ტეილორს დაგეგმილი აქვს მოგზაურობა სკანდინავიაში, სადაც ის ეტლიანი მოტოციკლეტით გაემგზავრება თავის ძაღლთან ერთად. ასევე ის აპირებს იმოგზაუროს აშშ-ში ტრასით, რომელიც თითქმის მთელ ქვეყანას კვეთს ჩიკაგოდან ლოს-ანჯელესამდე.

## ცირკიდან გაქცეული ზებრები ფიტნეს-ცენტრს ესტუმრნენ



ამერიკის ქალაქ ფილადელფიაში ცირკიდან გაქცეულმა ორმა ზებრამ ქალაქის ქუჩებში გაისეირნა და ფიტნეს-ცენტრში შევიდნენ. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ინტერნეტში იქნა განთავსებული.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. ცირკის კუთვნილი ზებრები ქალაქის ქუჩებში დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში დასეირნობდნენ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, ამის გამო ქალაქის რამდენიმე რაიონში ტრანსპორტის მოძრაობა იქნა პარალიზებული.

მოგვიანებით ცირკის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ორივე ზებრა უკანვე დააბრუნეს და მათივე თქმით, ცხოველები არ დაშავებულან. ამავე დროს არ არის ცნობილი, ამ შემთხვევის შედეგად ავტომობილების მფლობელები ან ფეხით მოსიარულეები ხომ არ დაშავებულან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გიორგი ასანიძე: „ჩვენი მიზანი გუნდური შედეგი და 3 ლიცენზიაა“

### ქართველი ძალოსნები ჰიუსტონში მსოფლიოს პირველობაზე გამოვლენ



საქართველოს ძალოსანთა ნაკრები ჰიუსტონს გაემგზავრა, სადაც 21-დან 29 ნოემბრის ჩათვლით მსოფლიოს ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. ეს ტურნირი ბოლო შანსია სათანადო ქულების დაგროვებისა და რიოს ოლიმპიური თამაშებისთვის ლიცენზიების მოსაპოვებლად.

ძალოსნობაში ლიცენზიებს ქვეყანა იღებს და არა კონკრეტული სპორტსმენი, ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყოველ ქულას, რომელსაც ესა თუ ის ათლეტი მოიპოვებს. ეს არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ, პირველად ქართული ძალოსნობის ისტორიაში, დელეგაცია მაქსიმალურად სრული შემადგენლობით მიდის და ლამის ყველა წონით კატეგორიაში გვყავს მონაწილე.

დღეისათვის საქართველო ორი ლიცენზიის ზონაშია. კარგი შანსი გვაქვს, მესამეს შევწვდეთ და ბრაზილიაში სამი ათლეტით გავემგზავროთ. ამ შანსებსა და მზადებაზე ნაკრების მთავარ მწვრთნელს, გიორგი ასანიძეს ვესაუბრეთ.

**გიორგი ასანიძე:**

– ნაკრების მზადების უმთავრესი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის საუკეთესო ფორმაში შესვლა იყო. ამის გამო ლამის მთელი წელიწადი ნაკრების წევრები და კანდიდატები ერთობლივ საწვრთნელ შეკრებებზე იმყოფებოდნენ.

ერთგვარი შემოწმება გავიარეთ ორი კვირის წინ, როცა საჩხერეში გამართულ ტურნირზე ვიასპარეზეთ. მართალია, ყველასთვის არ მიმიცია შანსი, მაგრამ ზოგიერთს, ვისაც საშეჯიბრო პრაქტიკის ნაკლებობა ჰქონდა, ნამდვილად

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## მესი კლასიკოში ითამაშებს



საფეხბურთო წრეებში უკვე დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, შეძლებს თუ არა ლიონელ მესი რეალი-ბარსელონას დაპირისპირებაში მონაწილეობის მიღებას.

როგორც ესპანური გამოცემა სპორტი იუწყება, მესი სრულიად გამოჯანმრთელდა და ვარჯიშებზე ბოლომდე იხარჯება. აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ მესი კლასიკოში მონაწილეობას მიიღებს.

არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ლუის ენრიკე მესის სათადარიგოთა სკამზე დატოვებს და მხოლოდ მეორე ტაიმში შეუშვებს მოედანზე. ლეომ ტრავმა 26 სექტემბერს მიიღო ლას პალმასთან შეხვედრის დროს და მას მერე არც ერთი ოფიციალური შეხვედრა არ უთამაშია.

რეალი-ბარსელონას დაპირისპირება 21 ნოემბერს მადრიდში გაიმართება.

## ბრაზილიამ პერუ 3:0 გაანადგურა




2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი სამხრეთ ამერიკაშიც დაიწყო. გუნდებმა უკვე რამდენიმე შეხვედრა გამართეს ერთმანეთთან, მათ შორის შედგა არგენტინა-ბრაზილიის დაპირისპირება, რომელიც ფრედ 1:1 დასრულდა.

ბრაზილიის ნაკრები, დუნგას მეთაურობით შედარებით უკეთესად გამოიყურება, ვიდრე ადრე და მსოფლიოს 5 გზის ჩემპიონებმა ეს პერუსთან თამაშშიც დაამტკიცეს. ბრაზილიელებმა თავის მეტოქეს 3 უპასუხო გოლი გაუტანეს და 3:0 იმარჯვეს.

ამ შეხვედრაში თავი არ გამოუჩენია ბარსელონას სუპერ ვარსკვლავ ნეიმარს, გოლები კი დუგლას კოშტამ, რენატო აუგუსტომ და ფელიპე ლუიშმა გაიტანეს.

ბ.გ.

## იუმორი



სომეხმა წყვილმა ქორწილის დღეს ფოტოგრაფი არ დაიქირავეს და მთელი ქორწილი დაიმახსოვრეს.

●●●

ზოოპარკში მყოფი ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– აი, იმ გველის სისინი რას გაგონებს?

– ჩემი სიდედრის საუბარს!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– მარხულობ?

– ჰო, შენ?

– მე მარტო წელს ზემოთ.

– ჰო, მეც ეგრე...

●●●

მზეთუნახავის ცხრასაათიანი უშედეგო კოცნის შემდეგ, უფლისწული ფეხზე წამოდგა და ჩაილაპარაკა:

– მართლა მომკვდარა, ეს შობელძაღლი!!!

●●●

ერთი მამაკაცი, მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, ეს ლარი ისე გაუფასურდა, რომ გოგოები სიყვარულით თხოვდებიან.

●●●

მხოლოდ საქართველოშია ქალწულობა შეუფასებელი, თუმცა, თუ ქირურგებს ვკითხავთ, 200 ლარი ღირს.

●●●

კაცი მეგობარს ეკითხება:

– რატომ შეგიძლია ავ ძაღლთან უფრო კარგად საქმის მოგვარება, ვიდრე სიდედრთან?

– იმიტომ, რომ ავი ძაღლი ყოველთვის გაძლევს წასვლის უფლებას.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– აბა თუ მეტყვი, რომელია ყველაზე ცნობილი ტყუილი?

– კაცის თუ ქალის?

– ორივესი.

– ქალის: „15 წუთში მზად ვიქნები“.

– კაცის: „15 წუთში მოვალ“.

●●●

– რა აზრის ხარ ქალებზე? – ეკითხება მეგობარი მეგობარს.

– ქალები მობილურის ოპერატორებივით არიან.

– ეგ როგორ?

– ან დაკავებულები არიან, ან მიუწვდომელები. ან შენს ანგარიშზე საკმარისი ფული არ არის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ჩანჩქერი აფრიკაში; 2. ლამაზი, მოხდენილი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 3. კოსოვოს ადმინისტრაციული ცენტრი; 4. ამერიკული სიგარეტი; 7. დაბა სიღნაღის რაიონში; 9. ტყემლის ერთ-ერთი სახეობა; 12. ესპანელი კინორეჟისორი; 14. ქერისა და ფეტვისგან მომზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 15. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 17. გერმანული სპორტული ჟურნალი; 20. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნივანი ვაზის ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 5. მდინარე აშშ-ში; 6. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი ქალი; 8. უმცროს მეთაურთა წოდება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 10. სიყვარულის, სილამაზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 11. მხარე ავსტრიაში; 13. დახრილი მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 16. ავტოდრომი საფრანგეთში; 18. ინდოეთის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 19. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 21. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 22. ტანსაცმლის, თეთრეულის კარადა; 23. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

